

## დარიო ფო, ფრანკა რამე.

### თავისუფალი ოჯახი

არიო ფოფრანკა რამე (და მერე როგორი თავისუფალი... )  
თარგმანი ვარლამ ნიკოლაძისა

მოქმე ი პირნი:1.

ანტონია (ცოლი)2.

კაცი (ქმარი)3.

### პროფესორი (საყვარელი)

საშუალო დონის ბურჟუების საცხოვრებელი სახლის ინტერიერი. დივანსა და სკამებსგადასაფარებლები ახურია, ნაჭრის აბაჟურიანი ტორშერები, მუსიკალური ცენტრი და ა.შ. დივნისწინ დაბალი, მაგრამ სიგრძით ორმეტრიანი მაგიდა დგას. ავანსცენაზე ერთი ფანჯარა. სცენისმარჯვენა კუთხეში ყავარჯენია მიყუდებული. თავიდან აბსოლუტური სიბნელეა, მხოლოდ სააბაზანოსსარკმლის ოდნავ შეღებული შუშის ღრიჭოდან ეცემა სინათლის სუსტი სხივი კაცს და შეგვიძლიაგავარჩიოთ მისი თავი. აბაზანის კარი შიგნიდანაა ჩაკეტილი.კაცი ძალიან შეწუხებულია რაღაცით.რაზან სიტყვა კაცს შეეხო, აქვე უნდა ვთქვათ, რომ სცენის მეორე კუთხეში წელან ქალის ფიგურა იყოგანათებული ოვალური სხივით.სპექტაკლის განმავლობაში ეს ორი მსახიობი რიგრიგობით ნათდება. როდესაც განათებაში მყოფითავის სათამაშოს დაამთავრებს, მისი შუქი ქრება, ნათდება მეორე და ა.შ

### კაცი

მორჩი ახლა, ანტონია... ნუ სულელობ რაღაცას... გამოდი გარეთ... დამელაპარაკე... მაინც რაგინდა რომ გააკეთო?... მომისმინე... შეიძლება... შეიძლება კი არა... . შენ აბსოლუტურად მართალიხარ... მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მხოლოდ მე!... მაგრამ ძალიან გთხოვ, გარეთ გამოდი!...გააღე ეს ოხერი კარი... აღარ უნდა დამელაპარაკო?... ღმერთო ჩემო, რატომ გინდა რომ ასე აურ-დაურიო ყველაფერი?... ჩვენ ხომ შეგვიძლია ყველაფერი ისე მოვაგვაროთ, როგორც ნორმალურდა ცივილიზირებულ ხალხს შეეფერება?... (კარის ჭუჭრუტანიდან იჭყიტება) იცი რა?... სიმართლეთუ გინდა, ყოვლად უპასუხისმგებლო გიჟი ხარ და მეტი არაფერი!

### ანტონია

(მაყურებელს) აბაზანად წოდებულ ამ ოთახში ჩაკეტილი ყოვლად უპასუხისმგებლო გიჟი მე ვარ...და ის კი, გარედან რომ მიყვირის, სისულელეებს ნუ აკეთებო, ჩემი ნორმალური ქმარია...

### კაცი

(ისე ელაპარაკება, ვითომ ქალი აბაზანაში იყოს) ანტონია, გარეთ გამოდი...

გემუდარები!...

ანტონია

სხვადასხვა ტაბლეტებისა და ათასი ჯურის წამლებისაგან კოქტიელს ვიმზადებ: მაგადონი,რაიპნოლი, ოფტალიდონი, ვერონალი, ჯიბალგინი... ყველაფერს ერთად გადავყლაპავ ახლა...

კაცი

ანტონია, მითხარი რამე...

ანტონია

(მაყურებელს) ჩემმა ქმარმა უკვე გამოუძახა სასწრაფოს... სადაცაა მოვლენ... ამ კარს შემომამ-ტვრევენ...

კაცი

სადაცაა სასწრაფოს ხალხი მოვა... ამ კარს შემომამტვრევენ... ღმერთო ჩემო... ეს ამ თვეში უკვემესამედ...

ანტონია

ყველაზე უფრო რაც მაგიჟებს, გადარჩენის დროს ის კუჭის გამოსარეცხი საზიზღარი აპარატია...ჩაგთხრიან ხახაში იმ შლანგს... მერე რამოდენიმე დღე ქათამივით ვარ ხოლმე დარეტიანებული...მერე იწყება სანახავად მიმსვლელ-მომსვლელთა ის გაცეცხული და გამოთაყვანებული მზერები...და ყოველ გამოხედვაში ჩუმი შეკითხვა: რატომ ახლავე არ მივყავარ არავის ფსიქიატრთან...უკაცრავად, ანალიზებზე... მერე ყველას შეერთებული ძალებით ჩემი დარწმუნება... ისევ ექიმთანმიყვანა და ისევ ის ჩიბუხიანი ტიპი... იტირეთ, ქალბატონო, იტირეთო რომ დაუჩემებია და მეტიარაფერი იცის...

კაცი

ანტონია, რაღაცა მითხარი, სხვა თუ არაფერი დააკაკუნე მაინც... იმას მაინც მივხვდები ჯერ კიდევცოცხალი ხარ თუ არა... აი იცოდე, ახლა წავალ და მორჩა!... მეტი ვეღარასოდეს მნახავ!...(გასაღების ჭუჭრუტანიდან იჭყიტება)

ანტონია

სიმართლე რომ თქვას კაცმა, მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველადაა, რომ სიკვდილი არმინდა.

კაცი

ეგ ყვითელი ტაბლეტები არ ჩაყლაპო... ეგ ასტმის ტაბლეტებია...

ანტონია

ამას წინად ფანჯრიდან გადავხტი... მაგრამ ამ ჩემმა ქმარმა მაინც მომისწრო და ჰაერში დამიჭირა...(ავანსცენაზე მდებარე ფანჯრისაკენ გარბის, მაგრამ რაფაზე ასვლისას კაცი მოასწრებს და ფეხშისწვდება. ინთება მთლიანი სინათლე)

კაცი

გემუდარები, ჩამოდი მანდედან... კი, ბატონო, შენ ყველაფერში მართალი ხარ, მე ვარ მხოლოდყველაფერში დამნაშავე... მხოლოდ მე... მაგრამ ახლა სიტყვას გაძლევ, რომ მეტი აღარასოდესაღარ ჩაგაყენებ ასეთ მდგომარეობაში...

ანტონია

არ მაინტერესებს... არც შენ მაინტერესებხარ, არც ეგ შენი უნიჭოდ მოგონილი ზღაპრები, და არც ისშენი შტერი ქალები... არ მაინტერესებს...

კაცი

ესე იგი, ჭკვიანები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ დაგაინტერესებდა? ჩამოდი!.. დაგელაპარაკომინდა... ჩამოდი ძირს!...

ანტონია

არა! უნდა გადავხტე!... .უნდა გადავხტე აქედან!...

კაცი

არა!

ანტონია

ვხტები!

კაცი

ამ ფეხს მოგტეხავ ახლა კოჭში!

ანტონია

გამიშვი!

კაცი

აი, ვტეხავ იცოდე!

ანტონია

(მედგარ წინააღმდეგობას უწევს) ააააჰჰჰ! (მაყურებელს მოუბრუნდება) მართლა მომტეხა ფეხი ამიდიოტმა! (ფანჯრის რაფიდან ძირს ჩამოდის. ქმარი ყავარჯენს აწვდის) ერთი თვე თაბაშირი!... ფეხიკი მქონდა თაბაშირში, მაგრამ ცოცხალი ვიყავი მაინც. თხილამურებზე მოიტეხეო, მეკითხებოდაყველა. ძალიან ვნერვიულობდი. (კოჭლობით მიდის მაგიდამდე, ყავარჯენს იქ ტოვებს და სხვაადგილიდან რევოლვერს იღებს) ერთხელაც რევოლვერით გადავწყვიტე თავის მოკვლა...

კაცი

მოიცა, სულ გაგიჟდი?... არ ქნა!... ჯერ მაგის ტარების უფლებაც არ ამიღია... გინდა რომდამაპატიმრონ? ანტონია

(თამაშს თავს ანებებს და მაყურებელს მოუბრუნდება) თავის მოკვლის მიზეზი კი სულ ერთი და იგივეიყო. ჩემს ქმარს აღარ ვუყვარდი და აღარ ვუნდოდი... გარეთ სხვები გაიჩინა და მისი ყოველი ასეთიახალი სასიყვარულო ინტრიგის გაგებისთანავე ჭკუიდან გადავდიოდი (რევოლვერს საფეთქელზემიიბჯენს)

კაცი

(ცდილობს რევოლვერი წაართვას) ანტონია... როგორ არ გინდა რომ გაიგო?!... იმ სხვებთან მემხოლოდ წამიერი სექსი თუ მაკავშირებდა... ეგ არის და ეგ!...

ანტონია

(ცდილობს თავიდან მოიშოროს) ააააჰ! ჩემთან ეგეც რომ აღარ გაკავშირებს?!...

კაცი

ააა, შენ სულ სხვა ხარ... მე შენ დიდ პატივს გცემ...

ანტონია

(წინააღმდეგობას თავს ანებებს და შემრიგებლური ტონით) პატივს მცემ?... ესე იგი ქალისა და კაცისურთიერთობაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტი შენი აზრით პატივისცემაა არა?... (ანჩხლად) უკან შეიკვებე ეგ შენი პატივისცემა!

კაცი

ოოოო!

ანტონია

(მაყურებელს) კაცო, ასე თუ გაგრძელდა სულ გავგიჟდები და ის იქნება!... მაგრამ ყველაზე უფრო ამის ერთუჯრედიანობა მაგიჟებს... ასე როდემდე უნდა ვიყო?... უკვე რამდენი ხანია ხელიც კი არ დაუკარებია ჩემთვის!...

კაცი

ასე ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა და გაბაზრება რა სიამოვნებას განიჭებს არ ვიცი...

ანტონია

აა, არ მოგეწონა?!... (მაყურებელს) თავიდან ვფიქრობდი ავადაა, ან გადაღლილია... კაციყოველთვის ხომ არ იქნება ამის ხასიათზე მეთქი... (ფანჯრისკენ იქაჩება, მაგრამ ქმარი აკავებს)

კაცი

ნელა!... ფრთხილად, ჩასავარდნია!...

ანტონია

რამ გაგაგიჟა, კაცო, ჩასავარდნი კი არა სცენის კიდეა!...

კაცი

კი ბატონო, მაგრამ სცენა აქ თავდება და მერე ჩასავარდნი იწყება... ასე არ არის?

ანტონია

ასეა, მაგრამ მე აქ როლს კი არ ვთამაშობ, ჩემ გაჭირვებას ვყვები!... თუ გინდა მივატოვებ ახლა ამასყველაფერს და წავალ!... სადაც მინდა იქ წავალ!... ხმა!... არ შემაწყვეტინო!... შენ კი არა ამათველაპარაკები!... (მაყურებელს) ჰო... რას ვამბობდი... ასე მეგონა მეთქი რომ გადაღლილია... მერეუცებ აღმოვაჩინე, რომ იქ, გარეთ, თურმე საკმაოდ ინტენსიური სექსუალური ცხოვრებითცხოვრობს... რა თქმა უნდა ქალებთან... და რამდენჯერაც დავაპირე მეკითხა: (ქმარს მიუბრუნდება)მეც ხომ ქალი ვარ, რატომ ჩემთან არ გინდა იგივეს გაკეთება მეთქი... (მაყურებელს) მაშინვე სხვათემაზე გადამიტანა ყოველთვის ლაპარაკი ...

კაცი

მე გადავიტანე სხვა თემაზე?

ანტონია

რა თქმა უნდა შენ!... (მაყურებელს) პოლიტიკური სიტუაციებიც კი მოიმიზეზა...

კაცი

(ფანჯრის რაფაზე შემოჯდება და ფეხებს აქანავებს) მე?

ანტონია

(შიშით) ფრთხილად, ჩასავარდნია!...

კაცი

ვიცი... როლს ვთამაშობ...

ანტონია

არა, გენაცვალე, კი თამაშობ, მაგრამ მაინც არ დაგავიწყდეს, რომ მეოთხე სართულზე ხარ!(კაცი ფანჯრის რაფიდან ძირს ჩამოდის, ანტონია მაყურებელთან საუბარს აგრძელებს)ჰო... იმას ვამბობდი... იმ წუთში პოლიტიკას გადააბრალა ყველაფერი... აი, წარმოიდგინეთ,ლოგინში ვწევართ... სიბნელეა... რატომ არ მოდიხარ ჩემთან?... არ მოხვალ?... ისა... რა ვიცი...ირგვლივ იმდენი პრობლემებია... რომ არ შემიძლია... ძალიან ცუდადაა იტალიის საქმე... იტალია,იძირება... კრიზისია... ეს ქვეყანა უკვე გამოწურული ლიმონივითაა...

კაცი

რა გინდა თქვა, რომ მაგ გამოწურვის მიზეზიც მე ვარ?... იქნებ თქვა, რომ არაფერი და არავინ არიძირება და იტალიის საქმე კარგადაა?... კაცო, რა, შენთვის ახალი ამბავია, რომ ამ ჩაძირვასთანბრძოლაში გამოვიწურეთ ყველანი ლიმონივით, ზოგიერთმა ვერც გაუძლო ამ საშინელ, მძიმესურათს და ინფარქტი მოუვიდა, გარდაიცვალა.. მოკვდა, გაიგე, მოკვდა!... მო-კვდა!... გადახედეერთი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას და მიხვდები... რა ხდება, რა საშინელი ამბავია... ეკონომიურიკრიზისი, გათიშულობა... უმიზნობა... გარემოს დანაგვიანება...

ანტონია

აბა რა გითხრა, ყოჩაღ!... შენი თქმით გამოდის, რომ პოლიტიკურ ბრძოლებში გადაღლილი დალიმონივით გამოწურული ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად ანებებენ თავს ოჯახებს, ბავშვებს და თავგან-წირულად ებმებიან გარემოს დანაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლაში... ვიღაცა სტოვებს თავის კარმოფირმას და ვეგეტარიანულ რესტორანს ხსნის... ვიღაცა ცოლს ტოვებს და მხოლოდ თავისითავისათვის ერთმუშტრიან ბორდელს ხსნის... ჰო, რა თქმა უნდა, აბა რა... 46 წელს გადაცილებულიმამაკაცების ნებისმიერი შტერული მიქარვა და ცხოველური საქციელი სულ პოლიტიკურიმიზეზებითაა გამოწვეული...

კაცი

არა... რა თქმა უნდა... ეს რომ აბსოლუტურად არასერიოზული და მხოლოდდამხოლოდ სექსუალ-ური კოლექციონერობის დაუოკებელი სურვილით გამოწვეული ცხოველური საქციელია, ორი აზრიარ არსებობს... ნადვილად ასეა... მაგრამ შენ... შენ ხომ სულ სხვა ხარ, აბსოლუტურად სხვა...(ეხვევა) აბა უშენოდ როგორ უნდა ვიცოცხლო... შენ ხომ ჩემი ერთადერთი, უტკბილესი დაუსაყვარლესი ქალი ხარ... ჩემი იმედი... პატრონი... შენ... შენ ჩემი დედასავით ხარ...

ანტონია

(კვიის) შენი დედა!... ეგრეც ვიცოდი!... უზარმაზარი პატივია ბატონო ჩემთვის!... დიდიდაწინაურება!... ასეა, ქალები ხომ სახელმწიფო მინისტრებივით და მოხელეებივით არიან, რაცუფრო გამოიჩენენ თავს საქმიანობაში, მით უფრო დააწინაურებენ!... რომელიმე ყოვლად უაზრო დაუმაქნისი ორგანიზაციის თავმჯდომარედაც დანიშნავენ!... “საპატიო დედა!”... არა, გენაცვალე, მეშენთვის ის ხელთათმანებივით ყოველდღე გამოსაცვლელი ლოგინის ქალი არა ვარ!... არცმზრუნველი დედა!... არა, თუ გესმის მაინც რამოდენა შეურაცხყოფას მაყენებ?!... როგორ მილახავთავმოყვარეობას?!... ესე იგი რა ვარ?... რა გამოვდივარ შენთვის?...

ნახმარი ფლოსტებივით შეგიძლია კუთხეში მიმაგდო არა?... დედა ვარ არა?!... იცი რას გეტყვი?... არ მოვინდომო თორემ, შენზეათჯერ და ასჯერ უკეთეს მამაკაცს ვიშოვი კიდევ!... ვისაც ხელს დავადებ!... (კაცი ჩაიღიმებს) მაგშენს თვითდაჯერებულ ჩაღიმებებსაც მოელება ბოლო!... მე შენ გაჩვენებ!... ისეთ დღეს დაგაყრირომ!... თანაც ზუსტად იმ შენი სამსახურის წინ, გავშლი პლაკატებს და ლოზუნგებს: "იჩქარეთ,იჩქარეთ, იჩქარეთ!... მუშათა დახმარების კომიტეტი, მუშათა ნაციონალური გაერთიანება დაიტალიის კულტურის აღორძინების საბჭო ფასდაკლებით აქირავებენ სახელმწიფო მრჩეველიმამბრეტის კარგად დაბანილ, გაწვრიალებულ და სუნამოებით არომატიზირებულ ცოლს!...მიიღება შეკვეთები კოლექტიურ ხმარებაზე!"

კაცი

შენგან სხვას აბა რას უნდა ელოდეს კაცი?... ჩემი სამსახურისადმი ერთგულ და საქმიან დამოკიდებულებას ასე აქიაქებ ყოველთვის!... მე აქ შენთან გულახდილი ლაპარაკის წამოწყებას დააზრების გაზიარებას ვცდილობ... შენ კი... (ნელ ნელა ეპარება ანტონიას და ცდილობს ხელიდანრევოლვერი გამოსტაცოს)

ანტონია

რა გულახდილი ლაპარაკი და რა აზრების გაზიარება?!... ყოველდღე ცხვირსახოცებივით იცვლიქალებს!... შიდსის მაინც არ გეშინია?!... დაანებე თავი ამ რევოლვერს, არ ვაპირებ თავისმოკვლას...

კაცი

დაიფიცე!...

ანტონია

გეფიცები!... თავის მოკვლა აღარ მინდა... (კაცი რევოლვერს შეეშვება) გადავიფიქრე!... ახლაშენ უნდა მოგკლა! (რევოლვერს დაუმიზნებს)

კაცი

კარგი ერთი, არაა ეს სახუმარო!...

ანტონია

არც ვხუმრობ! (ესვრის)

კაცი

(გაოგნებულ-გაოცებული) გაგიჟდი, კაცო?... ეს რა ქენი?!... რომ მომხვედროდა?!... მერე როგორუნდა მეთამაშა ამოდენა დარჩენილი როლი?...

ანტონია

ხმა!... ხელები მალლა!..კედლისაკენ მიბრუნდი და არ გაინძრე!..შენი ხმა არ გავიგო!... ახლაამათთან მაქვს სალაპარაკო!...(მაყურებელზე მიანიშნებს) ორი წუთით დავლაპარაკები და მერემოგკლავ!... (მაყურებელს მიუბრუნდება მაგრამ ისე, რომ რევოლვერი ისევ ქმრისკენ აქვსმიშვერილი)... და ერთ მშვენიერ დღეს ეს ვაჟბატონი აქეთ გადმოვიდა შეტევაზე.

კაცი

(ხელებაწეული) შენ თვითონ რა გააკეთე ვითომ ამ ჩვენი გაფუჭებული ურთიერთობების გამოსასწო-რებლად?... მე რომ სახლის სიტუაციით გაბეზრებული გარეთ ვიწყებდი ხოლმე იმის ძებნას რაცსახლში მაკლდა... და შენც კარგად იცი რაც

მაკლდა... გრძნობა... ვნება... მამაკაცური ძალების განახლება... ერთხელ მაინც შეეცადე რომ გაგეგო ჩემთვის?...

ანტონია

კი მაგრამ ძვირფასო, როდესაც ასეთი რამ მოგაწვებოდა ხოლმე, რატომ არასოდეს არ მეუბნებოდებირდაპირ?... რატომ ეძებდი ყოველთვის სახლის გარეთ?... სახლში რა, მე ვერ დაგიკ-მაყოფილებდი მაგ შენ სურვილებს?... ჰმ, გრძნობა არა?... ვნება!... მოსაკლავი მყავხარ დამოგკლავ!... განა არ ვიცი სადაც დაეთრევი?... მოგკლავ!... (უცებ რევოლვერს დაუმიზნებს პირაპირსასქესო ორგანოში) ჰო... რას ვამბობდი?... აქეთ გადმოვიდა მეთქი შეტევაზე, მაგრამ რა გამოვიდააქედან?... არა, გენაცვალე!... ბევრი, ძალიან ბევრი გვაქვს სალაპარაკო და გასარკვევი!... ხომ უნდაუთხრათ ბოლოს-და-ბოლოს ერთმანეთს ყველაფერი გახსნილად და გულახდილად?... ამას რომკითხოთ, ჩვენი მოშლილი ურთიერთობის გადარჩენა მხოლოდ-და-მხოლოდ ჩვენივემხედულებების გადახედვით, შეცვლით და ზოგადი კულტურული დონის ამაღლებით თუშეიძლება... ეს ბატონო ზნეობრივი დოგმების განახლებათ და ეს კიდევ ბურჟუაზიულიჩამორჩენილი გადმონაშთების აღმოფხვრაო... ამ სისულელეებზე ფიქრობდა დღე და ღამე...

კაცი

აბა რა!... რას მიქვია აბა ერთგულება?!... ეს მცნება უკვე ნამდვილად აღარ შეეფერებათანამედროვე ცხოვრების პირობებს... თანაც რომელი საუკუნეა?... თავის თავში ჩაკეტილი ოჯახიდრომომჭმული პატრიარქატისა და მხოლოდდამხოლოდ ვიწრო ეკონომიური გამორჩენებისაკენუბიძგებს საზოგადოებას... (ანტონიას უახლოვდება) რამდენი ვეცადე და მაინც ვერაფრით ვერგაგაგებინე... არ გინდა გაიგო... რომ მე თუ ხანდახან სხვა ქალთან მივდივარ ეს სულაც არ ნიშნავსჩვენს შორის არსებული მეგობრობის დამთავრებასა და შეწყვეტას. მე შენ მაინც მიყვარხარ...უნაზესი გრძნობები მაქვს შენდამი და რაც მთავარია დიდი პატივისცემა...

ანტონია

ეს ყველაფერი შენით გაქვს მოფიქრებული თუ სამთავრობო თათბირებზე და კრებებზე შეათანხმეხემდგომ ორგანოებთან?!... სამ წუთში ოცდარვა იდიოტობა რომ თქვი ახლა თუ ხარ აზრზე?...მეგობრობა არა?... პატივისცემა... წადი და ეგენი ბეზიაშენს მოუყევი... მე სიყვარული მინდა...კაცი!...ლოგინი!... მინდა რომ ლოგინიდან ადგომისას მთელი ტანი დალილავებული დადალურჯებული მქონდეს... მაგ შენი მეგობრობით და პატივისცემით ყელამდე ვარ!... არ შემიძლიამე ასე!... ნამდვილად ვერ გავაგრძელებ!... როგორ გინდა იცხოვრო ერთ სახლში შენ საკუთარქმართან და მის ახალ დანიშნულთან ერთად?... არაა ეს საჩემო საქმე!... რაც არ უნდა იყოს შენსხელში მყოფი ცოცხალი მასალა ვარ ყველაფერი იმისათვის, შენ რომ ასე მოგწყურებია!... ჩემიზოდიაკი კიბორჩხალაა, კიბორჩხალა!... ო, ღმერთო, რაღა მაინცადამაინც მე მერგო ეს ყველაზესულელური ზოდიაკი?... ნათლად შემიძლია წარმოვიდგინო მაგალითად ასეთი რამ: ზარი რეკავს,ვინ არის? მივდივარ და ვაღებ... ოოო, შენა ხარ ჩემო ძვირფასო და საყვარელო ქმარო?...გამარჯობა, მობრძანდი!... ეს

ლამაზი გოგონა ვილაა?... ოოო, გაიცანი ძვირფასო, ეს ჩემი მეუღლეა, ეს კი ჩემი ახალი საყვარელი!... დედა, რას ამბობ, როგორ გამეხარდა, მომილოცავს!... რა ლამაზიხარ ჩემი გოგო, რომელ კლასში ხარ, გენაცვალე, სკოლა უკვე დაამთავრე?... ძალიან კარგი, შემოდი, შემოდი, საჭმელიც ეს ესაა მოვამზადე, დაბრძანდი, მიირთვი... აი, სადილის მერე აქ, ამსაძილე ოთახში შეგიძლიათ დაწვეთ ჩემ ქმართან ერთად... პრინციპში ეს ჩემი და მისი საწოლია, მაგრამ სიამოვნებით დაგიტმობთ, ახლა თქვენი იყოს... ისიამოვნეთ, ბატონო!... განიერი საწოლია, თავისუფლად იქნებით, ისე მოიქეცი, ჩემი გოგო, როგორც საკუთარ სახლში, ვითომ მე სულაც არავარ აქ... თქვენსკენ სულაც არ გამოვიხედავ... ამ ოთახში, აგერ დივანზე წამოვწვები და სანამ თქვენიქ თქვენ საქმეს მოიმთავრებდეთ ცოტას წავთვლემ, ნურც იმის მოგერიდებათ რომ გამადვილებთ, მაგარი ძილი ვიცი, რამდენიც გინდათ იხვნეთ და იკვნესეთ, იკივლეთ და იკნავლეთ კატებივით... ეს გინდა ხომ?... ესაა შენი მიზანი?!... ისე გინდა მოვიქცე, თითქოს არც ვარსებობ არა?!... ჰმ, მოწინავე პოზიციებზე მდგომი, დრომოჭმული შეხედულებებისაგან თავდაღწეული, თანამედროვე, თავისუფალი ოჯახი!.. საპნის ბუშტია ეგ შენი თავისუფალი ოჯახი და მეტი არაფერი... და საპნისბუშტივით გასკდება კიდეც!... ბევრმა სცადა შენსავით მაგ გზაზე სიარული, მაგრამ ბოლო ბოლოყველა უფსრულში გადაიჩეხა...

### კაცი

მორჩი ახლა მაგ რაღაც საპნის ბუშტებს და უფსკრულში უდროოდ გადაჩეხილებზე მოთქმა-გოდებას!... მე სხვები რაში მაინტერესებს?!... ჩვენი ამბავი ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ... უნდაგადავხედოთ ჩვენ-ჩვენ პოზიციებს...

### ანტონია

თავისუფალი ოჯახის შესაქმნელად არა?... (რევოლვერს ისევ მიუშვერს) ... მოგკლავ!...(მაყურებელს) ბოლო-ბოლო იმდენი ქნა, მართლა დამარწმუნა, რომ ჩვენი ოჯახური და პიროვნულიურთიერთობების, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, მეგობრობისა და მეუღლეობისგადასარჩენად ერთადერთი სწორი საშუალება, ჩემი საკუთარი საწოლის სხვებისათვის დათმობაიყო და სხვა არაფერი. (ფანჯრის რაფაზე შემოჯდება. კაცი გაზეთს გაშლის და კითხვას იწყებს) ... ბავშვებს რა უნდა უთხრათ მეთქი, ვკითხე და ბავშვები გაიგებენო... ყველაზე მოულოდნელი კიჩვენი 24 წლის ბიჭის, რობერტოს რეაქცია იყო... კარგი რა, დედაო, მითხრა, ასე როდემდე უნდაგააგრძელოთ... ბოლო-ბოლო დახოცავთ ერთმანეთს და ამით დამთავრდებაო... რატომ არგინდა გაიგო, რომ მამაჩემის სხეულის განუყოფელი ნაწილი არა ხარ... და დროა უკვე რომ შენისაკუთარი, მხოლოდ შენს თავზე დამოკიდებული და ავტონომიური ცხოვრებით იცხოვროო... შენცხომ გაქვს ამ ქვეყანაზე უფლება ერთი ადამიანისათვის განკუთვნილი ყველაფერი ისევე მიიღო, როგორც სხვამო... თუ მამაჩემი სხვა ქალებთან დადის, რატომ შენც იგივეს არ აკეთებო... ლალატისმიზნით არა, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების სამედიცინო და მეცნიერულითვალსაზრისით დასაკმაყოფილებლადო... ბოლო ბოლო ხომ ყველა ადამიანები ვართ დაგარკვეული მოთხოვნილებები გვაქვსო... ერთი კაცი ველარ გიშოვნიაო?... (ნეაპოლიტანური აქცენტით) "ბიჭო, რასაა რომ ლაპარაკობ თუ იცი?..." რატომ მოუქციე ასე არ ვიცი მაგრამ... მორჩიახლა, დედა, რომელი წმინდა მარიამი



შენა მყავხარ, თუ გინდა დაგენიძლავები, რომ მოინდომო,მამაჩემზე უფრო ახალგაზრდა და უფრო ძლიერ მამაკაცსაც იშოვი, თანაც შეიძლება პოლიტიკურიშეხედულებებიც სულ მთლად ერთნაირი გქონდეთ, რა ჯობია ამას, ისიც სოციალისტი, შენც... დაიქნებით ასე, ორი სოციალისტი მთელი ცხოვრება ერთად... სხვა თუ არაფერი, ის მაინც დამანახე,რომ მონდომებული ხარ და მეც ყოველმხრივ ხელს შეგიწყობო... ჩემო საყვარელო დედიკოვო...მაინც ისეთი სიყვარულით მითხრა ეს ბოლო “დედიკო”, რომ ველარ გავუძელი და... ვცადე.(ფანჯრის რაფიდან ჩამოხტება და ავანსცენაზე გამოდის) ესე იგი პუნქტი პირველი... თუმცა ჯერდარბაზში მყოფ ყველა ქალბატონს ვთხოვ ჩაიწერონ ყველაფერი, რასაც ვიტყვი... ვინ იცის რახდება... ეს ჩემი გამოცდილება იქნებ როდესმე თქვენც გამოგადგეთ... ჰო, იმას ვამბობდი... პუნქტიპირველი... სახლიდან განთავისუფლება... ესე იგი, გარეთ გასვლა, გავარდნა... წლების განმავლო-ბაში ოთხ კედელს შუა გამომწყვრეულობის შეწყვეტა... არავითარი აღელვება და ცრემლი... წავედიდა სხვა ბინა ვიქირავე ჩემთვის... რაც ქორწინების შემდეგ ტანისამოსი მიყივია, ყველაფერიგადავყარე... გარდერობის გასაახლებლად გიჟივით მოვედე მაღაზიებს... (ამ ლაპარაკისასაბაზანაში შედის) ვიწრო, შემოტმასნილი შარვლები და გაპრანჭული მინი ქვედატანები ვიყიდე,პედიკური გავიკეთე, თმები შევიღებე და დავიხვიე, თვალები დავიხატე, მთელი სახეარაჩვეულებრივად ლამაზად გავიფერადე, ასე, აქ, იისფერი, აქ ვერცხლისფერი, აქ ვარდისფერი,,მანიკურიც, რაღაც არაჩვეულებრივი ფერის... მოკლედ სარეკლამო ქალს დავემსგავსე...(აბაზანიდან გადაცმულ-გამოპრანჭული გამოდის)... მერე სიარულიც შევიცვალე... იმიტომ, რომწლების განმავლობაში ქმრის თვალში როგორ გარდავიქმნებით ხოლმე ყველამ კარგად ვიცით...ოოოჰ, მოუვლელი ბატონო და მობერებული... სულ მუდამ დაღლილი და მოწუწუნე... ლამისსაკუზიანობაც დაგვაბრალონ... მაგალითად მე სულ დამავიწყდა, რომ მქონდა თეძოები... კი ბატონო,ქმარმა მიმატოვა, მაგრამ თურმე თეძოები მაინც მქონია... უბრალოდ აღარ ვიყენებდი თურმე...სიარულისას არ ვარხევდი და არ მივაქნ-მოვაქნევდი... ისე დავდიოდი, თითქოს ესესაა წავიქცევი...გაფშიკინებული გამხმარი თევზივით... ასე... (გაივლის)... მერე კიდევ... სიარულისას არ ვიცი რატომ,მაგრამ სულ ძირს ვიყურებოდი... რა ჯანდაბას ვეძებდი არ ვიცი... ვინმეს ფული ხომ არ დაუვარდადა იქნებ ვიპოვნო თქო ვფიქრობდი ალბათ... მაგრამ ვერასოდეს ვერაფერი ვიპოვე ამ დასაწვავასფალტზე ძაღლების მოკაკულის მეტი... მაინც რამდენს შვებიან თურმე... ჩემი ბიჭი სულ თავსდამტრიალებდა და ჩემს ცვლილებებს თვალყურს ადევნებდა დიდი ყურადღებით... ძალიანუხაროდა... “ყოჩაღ, დედა, კარგად მიდიხარ, ეგ თმებიც ძალიან გიხდება ეგრე და ახალი კაბებიც,მაგრამ ცოტა წონაში თუ არ დაიკვლი არაფერი გამოვა... ცოტა უფრო მადის აღმძვრელად უნდაგამოიყურებოდე”-ო. მეც ვიფიქრე, რაღა ქალი ვარ ჩემ საკუთარ შვილს თუ ეს სურვილი არაუსრულე მეთქი და იმ დღის შემდეგ ცარიელ წყალზე და პურზე დავჯექი... თან მეცინებოდა ჩემთავზე, თან შიმშილისგან გული მიწუხდა... მერე სირბილი დავიწყე... ჯანდაბა და ჭირი მაგისგამომგონებელს... სული ამომხდა კინაღამ... გიჟივით დავრბოდი... ყოველ სისხამ დილით, პარკში...

ჩემსავით გადარულ სხვა მშვიერ გიჟებთან ერთად... სირბილისაგან თავისუფალ დროს ვიპარავდი... ბავშვების საუზმიდან თითო ორ ლუკმას... მაინც რა კარგი გამოგონება ყოფილა ჭამა... ბოლოსმიზანს მაინც მივალწიე და გავხდი... მერე ჩემი ბიჭიც მოვიდა და... მე რომ დიდი მღელვარებითველოდებოდი კომპლიმენტს... შემომხედა... აბა ერთი ასე მოტრიალდიო... მოვტრიალდი... ეს რაგიქნია, ხორცები ჩამოგვიდებია, გეყოფა, მეტი აღარ გინდაო, მითხრა... წარმოგიდგენიათ, 38 წლისასაკში ქალს რომ ხორცები ექნება ჩამოკიდებული ყასბის დუქანში ჩამოკიდებული ძროხისხორცივით... რაღა უნდა ქნა?... რა ეშველება ამას მეთქი, ვკითხე... და ასე სწორად იარე აწი, მეტი აღარ ირბინო... დავდიოდი მეც ასე ქუჩაში მოჯადოებული პრინცივით (გაივლის) რა გაცინებთ, თქვენც გნახავთ ქუჩაში ასე მოსიარულეს, ის დღეც მოვა... მერე ბარკლების პრობლემა... ბარკლისხორცები არ უნდა თანთალებდეს... გიმნასტიკა, ვარჯიშები... წაიკუზე, გასწორდი, წაიკუზე, გასწორდი... თანაც სულ ყველგან ფეხით დავდიოდი... ბარკლების გასამაგრებლად... საყიდლებზე... ჰოპ, ერთი კილო ყველი თუ შეიძლება... ჰოპ, ერთი კილო შაქარი... საით, სენიორა... აქა ვარ, ისეც მოვედი, ბარკლებს ვივარჯიშებ და... მეყველემ ძალიან მითანაგრძნო... ყოველდღემეკითხებოდა ბარკლები როგორა გაქვთ ქალბატონოვო... მადლობთ კარგად, თქვენ როგორბრძანდებით მეთქი, ვეუბნებოდი... საგრძნობლად გავხდი კიდევაც, ხორცებიც აღარ მეკიდა, მადისაღმძვრელადაც გამოვიყურებოდი, მაგრამ... ეჰ, ვერავინაც ვერ ვიპოვე... ზედაც არავინმიყურებდა... ძალიან ვწუხდი... რა ვიცი, სხვაგანაც ხდება ალბათ ასე... თქვენც გექნებათგამოცდილი... ბიჭმა მითხრა, დედიკო, აბა ეგრე სად და ვის იპოვნე, მოზიდული მშვილდისარივითრომ ხარ შიგნიდან მოჭიმულიო... შეეცადე ცოტა უფრო რბილად მოიქცეო... თავი თუ არ შესთავაზეისე ვინ ოხერი მოგაქცევს ყურადღებასო... ეგრე უკარებასავით კი არ უნდა იყოვო... საღამოს, ამხანაგებთან ერთად რომ გახვალ სადმე, აქეთ იქით გამომწვევი და მწველი მზერები უნდასტყორცნოვო... (გამომწვევ მზერებს აჩვენებს)... მოკლედ ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც ბიჭმამირჩია, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა... ის კი არა, ვინმეს რომ ეშხიან მზერას ვტყორცნიდიხოლმე შეშინებული გარბოდა იქიდან... ზოგი კი: "რა გიჟივით მიყურებ, რა გინდა ჩემგანო", მეკითხებოდა... სიკვდილი მინდოდა და მეტი არაფერი!... ენა ვერ აღწერს ისეთ ცუდ დღეშივიყავი... მერე უცებ ვიგრძენი, რომ მაინც არის რამოდენიმე კანდიდატი, ვისთანაც რაღაც შეიძლებაგამოვიდეს... ასე 80-94 წლის კაცები... მთელი უბნის ბებრები ნერწყვებს ყლაპავდნენ ჩემსდანახვაზე... მაგრამ ახალგაზრდები... ჩემი ბიჭის ხნის... 24 წლის ბიჭები... აბა ჩემთან რა საქმე უნდაჰქონოდათ... ოიდიპოსები ხომ არ უნდა გამხდარიყვნენ ჩემი გულისთვის... მეც მოვინდომე რა!...სულ გავგიჟდი ალბათ... ერთხელ მოხდა მხოლოდ... ერთადერთი შემთხვევა... ჩემი ბიჭის სკოლისამხანაგი... გაკვეთილებს ერთად ამზადებდნენ ხოლმე და ხშირად მოდიოდა ჩვენთან ჯერ კიდევპირველი კლასიდან... სულ ერთად გაიზარდნენ... ჩვენთან ჭამდა, სვამდა, და ღამეც რჩებოდახოლმე... პირველი კლასიდან ასე იყო... მერე სკოლა დაამთავრეს, მაგრამ სასაუზმოდ მაინცჩვენთან დადიოდა ხოლმე... ერთ დღეს, ჩვეულებრივად სამზარეულოში საუზმეს უმზადებდი... ისიციქ იყო... ჩემს უკან... მაგიდასთან იჯდა და საუზმეს ელოდებოდა...

ხომ წარმოგიდგენიათ, ის პატარაბიჭი... მერე უცებ რაღაცა ვიგრძენი... ხომ არის ხოლმე, აი, რაღაც ისეთი... ტყეში რომა აქვთგარეულ ცხოველებს... უცებ შემოვბრუნდი და... ღმერთო ჩემო... ზის და მიყურებს... როგორდაკაცებულა... კაცი მაგრამ რა კაცი... მამაკაცურად ლამაზი... ისე გულუბრყვილოდ მიყურებდა... იმთავის ცისფერი თვალით... არა, ორი თვალი ჰქონდა, ორივე ცისფერი, მაგრამ მე სულ ასე ვამბობხოლმე... ცისფერი თვალი... ისე მიყურებდა, რომ ის ვიგრძენი... აი, ის... თითქოს რაღაცა ძალიანდიდი გასაჭირი აქვს და შველას ითხოვს მეთქი... ავიღე ხელში მისთვის გამზადებული სანდვიჩი დამისკენ დავიძარი... სანდვიჩს რომ მართმევდა, შემთხვევით ხელით ხელზე შემეხო და რას შვრებიმეთქი ვუთხარი, მაგრამ ხელი არ გამომიწევია... არც იმას გაუწევია... მერე უცებ ჩაკვირდა ის სანდვიჩიდა გამოტენილი პირით მიყვარხარო მითხრა... რას ლაპარაკობ მეთქი ვუთხარი... თან ამ დროსისეთი ბედნიერი ვიყავი... მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარო გამიმეორა, თანაც პირველიკლასიდანო... რატომ აქამდე არ მითხარი მეთქი?... ახლაც იმიტომ გეუბნები რომ ტყუილია, უბრალოდ მინდოდა გამეცინებინე და ვიხუმრეო... ოოო, აქ კი ავტეხე ერთი ამბავი... როგორ ბედავდა ასეთ რამეს მეუბნები?!... ბოლო ბოლო დედაშენის ასაკის ვარ... როგორ არა გრცხვენია...ახლაც გაეთრიე ამ ჩემი სახლიდან და ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს... მორჩა შენი სანდვიჩებიმეთქი!...გავაგდე ის საწყალი ბიჭი... ისე შეწუხდა... მეტი რომ არ შეიძლება... და იმ დღის მერე ყოველდღემირეკავდა... სიგიჟემდე იყო შეყვარებული... ტიროდა... კვნესოდა... ძალიან მეცოდებოდა... რავითხრათ, აბა, რომ უყურებდი როგორ იტანჯებოდა... მეც ხომ დედა ვარ ბოლოს-და-ბოლოს...ვეღარ გაუძლო ამ გულმა... ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე და უთხარი, მორჩი ახლა ტირილსმეთქი და შეხვედრა დაუნიშნე... ძალიან შორი ადგილი ამოვარჩიე... ხვალ სამ საათზე მოდი მეთქი, უთხარი, სასაფლაოზე... იქ ერთი პატარა სასაუზმეა... დასაფლავების მერე რომ თითო ჭიქის წასაქცევად იკრიბებიან... იქ მოდი მეთქი... არა, ნამდვილად არ იცის სიყვარულმა ასაკი... იქამდეისე მივედი, გული როგორ არ ამომივარდა ამ ოხერი საგულედან არ ვიცი... ის ჩემზე ადრემისულიყო და მელოდებოდა... დამინახა და გამიღიმა... ღმერთო, ერთი კაცის პირში ამდენი კბილიჩემს ცხოვრებაში არ მინახავს... ნიანგივით იყო... ჩემთვის ვფიქრობდი: “მოდი, გიჟო, მიკბინე, სულდამკბინე” მეთქი, მაგრამ ხმამაღლა არ მითქვამს... მერე მაგიდასთან დავსხედით, ოფიციალტიმოვიდა და რას ინებებთ ქალბატონოო მკითხა, მერე იმას გადახედა და თქვენი შვილი რასინებებსო... თუ არ მოვკვდებოდი არ მეგონა... მე უთხარი მე ორმაგი ვისკი მომიტანეთ და ამას კიგაზიანი წყალი, ოღონდ მაწოვარიანი ბოთლით, თუ შეიძლება მეთქი... მერე მოვიმიზეზე, ვითომცუდად გავხდი, სასწრაფოდ ავდექი და სახლში წამოვედი...

კაცი

მოკლედ მაგარი დრო გაგიტარებიათ.

ანტონია

მაგრამ თქვენ ეს უნდა გენახათ, ეს... ჩემი ქმარი რომ ქვია... რომ უთხარი აბა ჩემო თავისუფალოქმარო, წადი, თავისუფალი ხარ, ვისაც გინდა იმას ჩაუწევი ლოგინში მეთქი, როგორი გახარებულიყო...

კაცი

სწორედ ამაშია თავისუფალი ოჯახის სიკეთე და მშვენიერება... დანაშაულის კომპლექსები მომეხსნა... სრულიად თავისუფალი ვიყავი...

ანტონია

თავისუფალი!... თავისუფალი კი არა ასეთი უეცარი სიხარულისაგან ფეხს მიწას აღარ აკარებდა... მიფრინავდა... მე, რაც დრო გადიოდა სულ უფრო და უფრო ვიტანჯებოდი, ეს კი ბედნიერებისაგანმეშვიდე ცაზე იყო... თანაც ყველაფერს მიყვებოდა...

კაცი

ახლა დიდი ბოდიში, მაგრამ შენ თვითონ არ იყავი, განუწყვეტლივ რომ მთხოვდი ხოლმე მომიყევი, მომიყევიო...

ანტონია

კი... ყველაფერ სიკეთესთან ერთად მაზოხისტიც გამხადა... (მაყურებელს) ამასობაში ჩემი ქმარიერთი 28 წლის არც თუ მზეთუნახავ, მაგრამ ძალიან ჭკვიან და ინტელექტით სავსე ახალგაზრდა დამშვენიერ ქალთან შევიდა ახლობლურ ურთიერთობაში...

კაცი

რატომ ასეთი ირონიით?...

ანტონია

(ქმარს) ვინ, მე?... როგორ გეკადრება... როდის იყო მე ინტელექტუალებზე ირონიითვლაპარაკობდი?!... პირიქით, ყოველთვის მეამაყებოდა... რამდენი ახალი რამ გავიგე მისგან... რამდენი რამე ვისწავლე... სამზარეულოში ტრიალი უყვარდა ძალიან... შევიდოდა ხოლმე და აღარგამოდიოდა... ტრიალებდა იმ ჩემს სამზარეულოში დილიდან გვიან ღამემდე და რასაც ნახულობდასულ ჭამდა და ჭამდა... რამდენს ჭამდა მაინც კაცი?... სად ჩასდიოდა?... არა, გენაცვალე, ინტელექტუალები რომ ჭამენ... მტრისას... სხვა ეგეთი არც არსად მინახავს და არც გამიგონია...

კაცი

ბოროტი ხარ!

ანტონია

გავბოროტდი დიახაც!... რქების სიმძიმისაგან თავი მაღლა ვეღარ ამიწევია... და ცოტა რომ გავბო-როტდე რა გასაკვირია... (მაყურებელს) ... იმ გადასარევ ინტელექტუალურ გოგოს ჩემგან განსხვა-ვებით გაცილებით უფრო რბილი და თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა ჩემს ქმართან. მისგანზევს არაფერს თხოულობდა... ცხოვრებაში ერთი სხვა კაცი ყავდა კიდევ... იმ კაცს კიდევ სხვაქალი ყავდა ამის გარდა... ის სხვა ქალი კიდევ ერთ კაცზე იყო გათხოვილი და იმ კაცს კიდევ ერთისხვა... მოკლედ ასე იყვნენ დაწყვილებულები გაუთავებლად... მართალი რომ თქვას კაცმა არაა ესადვილი საქმე... ეს ჩემი ქმარიც სულ ამ ამბების გარკვევას იყო გადაყოლილი, ძალიან მოუმრავლდა სახლის გარეთ საქმეები და სახლში მარტო საჭმელად თუ მოდიოდა... მთელი ამორომტრიალის განმავლობაში ერთ გადასარევ პატარა გოგოსაც წამოკრა ხელი... ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი... პატარა იყო, სულ ერთი ბეწო... სკოლაში დადიოდა... ნაყინს ჭამდა გაუთავებლად... ზამთარშიც და

ზაფხულშიც... ეს ჩემი ქმარი ხანდახან გაკვეთილების მომზადებაშიცეხმარებოდა ხოლმე... (ჩაიცინებს)

კაცი

(მაყურებელს) ისე კაი სათამაშოსავით კი იყო... და მეც ვეთამაშებოდი, აბა რა მექნა... ანტონია

(მაყურებელს) კი, კი, გადასარევად თამაშობდნენ ლოგინში დამალობანას... კუ-კუ!... ის გოგო ისეთიპატარა იყო მაინც, ხანდახან ზეწრის ნაოჭებში ეკარგებოდა თურმე ამას... ასე მიყვებოდა...

კაცი

ყველაზე უფრო რა მაგიჟებდა იცი?... გიჟი იყო, ნამდვილი გიჟი... ისეთ რამეს გააკეთებდახანდახან, ვერაფრით რომ ვერ იფიქრებდა კაცი... ტიროდა, უცებ კისკისი აუტყდებოდა, მერე იმნაჭამ ნაყინებს ამოაღებინებდა... მოკლედ იმასთან ერთად რომ ვიყავი ხოლმე თავი თანახალგაზრდად, თან ნამდვილ მამაკაცად და თან მამამისადაც კი წარმომედგინა ხოლმე ხანდახან...

ანტონია

მამაც ეგეთი უნდა...

კაცი

რა ხუმრობაა ახლა ეს?!...

ანტონია

(მაყურებელს) ფრთხილად იყავი, არ დაორსულდეს მეთქი, ვაფრთხილებდი სულ... და კიბატონო, მეუბნებოდა, მე კი ვიქნები ფრთხილად, მაგრამ სხვა კაცებთან როცაა მაშინ მე რაუშველოო... თან თვითონ არ უნდაო... (ქმარს) ხომ ზუსტად ასე მეუბნებოდი ჩემო სიცოცხლე?... ხომმართაღს ვამბობ?...

კაცი

კი, მაგრამ ის, ბოლოს რაც გითხარი ხუმრობა იყო...

ანტონია

(მაყურებელს) ერთ მშვენიერ დღეს მოდის ეს ჩემი ქმარი და მეუბნება:

კაცი

მომისმინე, ეს ქალების საქმეა... რატომ არ მიყვები პიერას?...

ანტონია

პიერა იმ ნაყინიჭამია გოგოს ერქვა...

კაცი

მიყევი ერთი ვინმე კარგ გინეკოლოგთან და ჩაუყენოს ის სპირალია თუ რაღაცა...

იქნებ შენდაარწმუნო... შენ აუცილებლად დაგიჯერებს...

ანტონია

უიმე, აბა რა! ჩემ პატარა პიერას დედობას გაუწევ აბა რა?... მივიყვან გინეკოლოგთან და ვეტყვი, ბატონო ექიმო, თუ შეიძლება ჩაუდგით სპირალი ჩემი ქმრის ამ პატარა და ცელქ საყვარელს... ალბათ ექიმსაც ექნება ჩვენდენი იუმორის გრძნობა და... (ანტონიაც და კაცის გულიანად იცინიანმაგრამ ქალი უეცრად წყვეტს სიცილს)) შენ უნდა ჩაგიდგან სპირალი!... ზუსტად იქ!... მომარდვისასპროპელერით იტრიალებ ხოლმე!...

კაცი

(მაყურებელს) აი ასეა სულ... არადა რა კარგი თავისუფალი ოჯახი გვქონდა...  
ნამდვილად დემოკრატიული... ჯერ სადაა... ჯერ კიდევ ყველაფერი არ უთქვამს...  
(ცოლს) გააგრძელე, გააგრძელე... მოყევი...

ანტონია

(მაყურებელს) ჰო, ერთხელ იყო და... რა ვიცი, შეიძლება ცოტა უხეშად კი მომივიდა,  
მაგრამ... ახლნაყიდ ტომატის პასტას ვხსნიდი... ხუთვილოიან თუნუქის ქილებში  
რომაა... გავხსენი თუ არა, მომაწვა რაღაცა და მთელი ის პასტა თავის ქილიანად თავზე  
ჩამოვამხე... ჰა-ჰა-ჰა... სკაფანდრივით მოერგო... ნიკაპამდე ჩამოეფხატა... (მხიარულად  
იცივის)... მერე ვისარგებლე მისი იმ წამიერი დაბნეულობით, ვტაცე ხელში ხელი და  
გახურებულ ტოსტის მანქანაზე დავადებინე... ერთიკარგადაც მივაჭირე ზედ... ჰა-ჰა-  
ჰა-ჰა!...

კაცი

(მაყურებელს) ეს ხელი ახლაც ზებრასავით მაქვს დახაზული დამწვრობისაგან...  
ხალხის ყურადღებარომ არ მიმექცია ერთი კვირა სალათის ფოთლებს ვიკვებებდი  
თითებს შუა და ისე დავდიოდი... მერე ამან ხომ მუხრუჭი არ იცის... თუ აკვილდა და  
აწივლდა... მერე ეს ცოფიანი საქციელები... მოკლედ თავისუფალი ოჯახის მშვენიერი  
მაგალითი... დემოკრატია!

ანტონია

(ქმარს) აბა რას ელოდებოდი?!... (მაყურებელს) თავისუფალი სქესობრივი  
ცხოვრებისაკენ მივავიჯებდი გიგანტური ნაბიჯებით, მაგრამ ამ პატროსანმა კაცმა  
უცებ იმ თავისი პატარა შეყვარებულებისათვის დედობის გაწევა რომ მომთხოვა...  
(ქმარს)... ისე, ცოტა მეტი თავშეკავებულობა და დადინჯება არ გაწყენდა...  
(მაყურებელს)... რა მოუვიდა არ ვიცი... ადრე არ იყო ასეთი... ერთი ნორმალური კაცი  
იყო... ახლა?... რაღაცა დაეტაკა... ერთი ქალიდან მეორეზე გადადის და თან ისე ჩქარა,  
რომ თვალსაც ვერ მოასწრებ... მიატოვებს ერთს და მაშინვე პოულობს მეორეს...  
ასეყოფილან თურმე ყველას ქმრები... ვირუსია თუ რა უბედურებაა არ ვიცი... ყველა  
ამის შეყვარებულს ველაპარაკე... ყველას ქმარი ასევეა თურმე... ის კი არა ჩვენი სახლის  
შვეიცრის ცოლსაც ველაპარაკე... მისი ქმარიც თურმე სულ ეძებს... მაგრამ განსხვავება  
იმაშია, რომ ის სულ ეძებს და ეს ჩემი კი სულ პოულობს... პირდაპირ სიგიჟეა რაღაცა...  
სოკოზე რომ გიჟდებიან და სულ რომ ტყეში დადიან სოკოს საკრეფად და სულ რომ  
პოულობენ და რომ მოაქვთ და მოაქვთ და რომ აღარ იციანსად წაიღონ და ხან წნილად  
რომ დებენ და ხან კონსერვად და ხან მურაბასაც აკეთებენ და ხანაც ხმობენ... მაგრამ  
ჩემი ქმარი ბოლოს ნამდვილი კოლექციონერი გახდა.. რა ჯიშის სოკო გინდა ბატონო,  
რა ჯიშის ყვავილი, პეპელა, წიწილა, ვარია, ბედურა, ჩიტი, მოკლედ მეც დავიბენი  
ბოლოს... რაღაც საშინელებად გადამექცა ეს ამბავი... სადაც კი გავიხედავდი მათი  
დანახვა... აბაზანაში შევალ და... ოჰ, გამარჯობათ... სააბაზანო ხალათს ავიღებ რომ  
ჩავიცვა მაგრამ შიგ უკვე იღაცა მხვდება... პატარა ვარიკუნა... დავიხრები  
ფეხსაცმელების ასაღებად და აქაც სალამი ჩემიგოგო... მთელ სახლს მოედნენ  
თავგებივით, მაგრამ მხოლოდ დედალი თავგები... ასეთი ნორჩი, პატარა და  
საყვარელი დედალი თავგუნები... დამწკრივებული მორბოდნენ ჩვენი

სახლისაკენ...შემოდოდნენ... აავსებდნენ იქაურობას და მერე კარგა მაგრად ნახმარები მიდიოდნენ სხვასახლისაკენ რათა იქაც ეხმარათ, თუმცა აქ რომ მოდიოდნენ მაშინაც ხომ ერთი მაგრად იყენნახმარი და იმაზე ადრეც კიდევ... როგორი თავგუნა აღარ ვნახე... ნორჩი, ახალგაზრდა, ჭკვიანი,სულელი, შტერი, გადარეული, გამხდარი, მსუქანი... ყველას გულლიად ვმასპინძლობდი... სხვაკიდევ რითი მესიამოვნებინა აღარ ვიცოდი... ისე მათი გულის მოგება თუ გინდა, სითხე უნდაშესთავაზო... ნებისმიერი სითხე... მაგალითად წყალი... ან თუ ასეთი რამ იმ წუთში სახლში არმოგეპოვება... ქმრის პატივცემული ორგანიზმის ფრიად საპატიო საცავებიდან კიდევ უფრო ფრიადსაპატივცემულო თხევადი თესლის ორიოდე პორციაც შველის საქმეს...

კაცი

(ანტონიას) კარგი ახლა, მთლად კი ნუ გადაამლაშებ... (მაყურებელზე მიუთითებს) ამ რამოდენიმემაკაცთმოდულე საშვილოსნოიანი ფანატიკოსის თვალწინ რად გინდა ასეთი სასამართლოებისმოწყობა...

ანტონია

რატომაც არა... შენი უკუღმართობის ბოლომდე გამოსაამკარავებლად ცოტა რომ გადავამლაშოკიდევაც რა მოხდა მერე?...

კაცი

რომელ უკუღმართობაზე ლაპარაკობ?... სექსუალურ მანიაკად მხატვ აქ!... რა გაქვთბოლოსდაბოლოს ქალებს ამისთანა მაგ ფეხებშუა?... შედი-გამოდის მეტი არაფერი იცის!...გრძნობა სულ სხვა რამეა!... თუ დააკვირდები, ნახავ, რომ ქალებთან მხოლოდ ლოგინი კი არა,სხვა, უფრო ინტელექტუალური ინტერესებიც მაკავშირებს... მაგალითად საუბრები...

ანტონია

რა ვიცი, შენ არ იყავი, აჩემებული რომ გქონდა სექსი, სექსიო...

კაცი

კი, მაგრამ რომ მეთქვა სულიერი კავშირები მაქვს მეთქი უფრო არ გაგიჟდებოდი? (გადის)

ანტონია

მართალია!.. სექსი მაგიჟებს, მაგრამ სულიერი ურთიერთობები უფრო გამაგიჟებდა... დედასგეფიცვებით, როცა უყვებოდი თუ რა შინაგან წინააღმდეგობებთან მქონდა ხოლმე საქმე სხვამაკაცებთან ურთიერთობისას... (ქვედატანს იცვამს)... სახლიდან გარეთ გასვლაც კი რომ დიდპრობლემად გადამექცა... ნამდვილი ამხანაგით მექცეოდა... დიდი ყურადღებით მისმენდა დამუდამ მზად იყო დამხმარებოდა... (კაცი შემოდის და ანტონიას მხრებზე ეხვევა)

კაცი

(სატელევიზიო სერიალების ინტონაციით) რადგან სიტყვამ მოიტანა, უნდა გითხრა, რომ საშენო კაციარა ვარ. შეეცადე შენი ცხოვრება თავიდან აიწყო. გთხოვ, გემუდარები, შენთვის ჩემზე უფროშესაფერისი მამაკაცი მოძებნე... შენ ხომ ყოველმხრივ იმსახურებ ამას... მშვენიერი, დიდებული,ლამაზი ქალი ხარ...

ანტონია

კაცი

(მაყურებელს) მაგრამ ყოველთვის ბანზე მიგდებდა სიტყვას...

ანტონია

(ქმარს) ბანზე კი არა... უბრალოდ ვერიდებოდი ამ თემაზე ლაპარაკს... (მაყურებელს) აბა რასალაპარაკოა ეს?... არის ისეთი რაღაცეები, რომლებზედაც ჯობია არ ილაპარაკო... ქმარი მაინცქმარია... მაგრამ ერთ დღეს გადავწყვიტე და ბოლომდე მოუყევი ყველაფერი... (ქმარს) “მვირფასო, იცი, დღეს მგონი ზუსტად საჩემო კაცი ვიპოვნე!”

კაცი

რას მეუბნები?!... ვინ?

ანტონია

(მაყურებელს) ისე მკითხა, თითქოს ყელში რაღაცა გაეჩხირაო...

კაცი

არა... ისა... რატომღაც უცებ მთელი შიგნეულობა გადამიცივდა და კინაღამ მუხლებიც მომეკვეთა... და მთელი ძარღვები დამებერა...

ანტონია

(მაყურებელს) ჰო... სსულ დამავიწყდა, ჩემს ქმარს ერთი ამბავი სჭირს... მღელვარებისას ძარღვებიებერება... ქორწილის დღეს ისე შემეშინდა... უცებ შევხედე და აი ასე... სახანძრო რაზმისშლანგებივით... თნაც უცებ ებერება... ბუუუუ, ბუუუუ, ბუუუუ,

კაცი

(ლაბადას გულმოსული გაიხდის, დივანზე მიაგდეს მაგრამ კაშნე ისევ კისერზე აქვს) ისე დიდმაგარი ვიღაცა ხარ... კარგი საესტრადო მომღერალი გამოხვიდოდი...

(მღერის) ბუუუ, ბუუუ, ბუუუ...

ანტონია

შენც მაგარი ხარ!... მოდი ამათ ახლა მთელი სცენა გაუთამაშოთ ა?...

კაცი

კი ბატონო!... კარტს ვთამაშობდით... მე ვარიგებდი. (მაგიდას მიუსხდებიან. ქმარი კარტს იღებს დანერვიულად ურევს)

ანტონია

ესე იგი, პირველი სიტყვა ჩემია... “მვირფასო, იცი, დღეს მგონი ზუსტად საჩემო კაცი ვიპოვნე”

კაცი

რას მეუბნები?!... ძალიან გამახარე!... გეფიცები, მართლა ძალიან გამეხარდა!...

(ნერვიულობისაგან ხელიდან რამოდენიმე კარტი დაუცვივდება)

ანტონია

(მაყურებელს) ასეთი რამ ადრე არასოდეს მოსვლია.

კაცი



საშენო კაცი ა?... თანაც ზუსტად!... როგორც იქნა!... რა მოხელეა? (ძირს დავარდნილ კარტებსკრეფს)

ანტონია

ვერაფრით ვერ გამოიცნობ... რამდენიც გინდა იფიქრე, ვერ მიხვდები... მაგრამ არ გაგაწვალე დაგეტყვი... ჩვენი წრიდან არაა...

კაცი

ოოო... ჩვენი წრიდან თუ არაა... უფრო კარგი... ძალიან კარგი...

ანტონია

ფიზიკოსია... პროფესორი...

კაცი

(დამამცირებელი ტონით) მასწავლებელია?... რას იზამ, ყველას ხომ არ შეუძლია სასურველისმიღწევა...

ანტონია

ცოტა სიტყვებს დაუკვირდი!... პიცის უნივერსიტეტში კათედრის გამგეა

კაცი

უყურე შენ?!

ანტონია

ატომურ ფიზიკაში მუშაობს. აღმოჩენებიც აქვს და საერთოდ დიდი მკვლევარია.

კაცი

ატომურში ა? (კარტები ისევ ძირს დაუცვივდება, მაგრამ ისევ აკრეფს და ნერვიულად აგრძელებსდარიგებას) მერე რა უნდა?... ახალი ატომური რეაქტორის ასაშენებლად შენგან თხოულობსუფლებას?

ანტონია

არა!... საერთოდ მსოფლიოში ატომური რეაქტორების და ყველა სახის ატომური სადგურისმშენებლობას ეწინააღმდეგება. პოლიტიკოსი მეატომეა... თანაც ძალიან ხუმარა... ჭკუიდანგადავყავარ პირდაპირ... და კიდევ ერთ დაუჯერებელ რამესაც გეტყვი... თურმე ნობელის პრემიაზეყოფილა წარდგენილი... (კარტს მაგიდაზე გადაშლის) ეს ხელი ჩემია!

კაცი

ესე იგი ჩემი ცოლის შეყვარებული ნობელის პრემიის კანდიდატია... ესე იგი დიდი ტვინის პატრონიუნდა იყოს

ანტონია

(გაოცებული მცირე პაუზის შემდეგ) იცნობ?

კაცი

ვის ვიცნობ?

ანტონია

აღდოს!... იმ ჩემს პროფესორს!... შენ რა, გვითვალთვალებდი?

კაცი

გითვალთვალებდით არა ის... მეტი საქმე არ მქონდა!...

ანტონია

აბა საიდან იცი რომ გიტარაზე უკრავს და როკს მღერის?

კაცი

რააა?... მართლა?

ანტონია

ჰო, მართლა, მაგრამ შენ ვინ ვითხრა?

კაცი

ვის უნდა ეთქვა?... ისე ვთქვი!... ტყუილად!... ამის დედა ვატირე, ესე იგი მეატომე გიტარაზე უკრავსდა მღერის... მე კი ამ ოხერი ყელიდან ყვავის ჩხავილის მეტი არაფერი ამომდის... (ირონიულად) რაუყოთ მერე?!... ალბათ ეგ შენი ისა... იმ თავის ასაკში... თანაც ასეთი და ამოდენა ტვინიკოსი... ალბათ იმას თუ ახერხებს ძლივძლივობით, რომ ძველ მომღერლებს გამოაჯავროს და მიზამოს...

ქალი

რა ასაკი, რის ასაკი?... ჯერ მხოლოდ 38 წლისაა... შენზე ათი წლით უმცროსია... და თანაც სულაცარ მღერის ძველი მომღერლებივით... თავისი საკუთარი სტილი აქვს... თან პიანინოზედაც ისეუკრავს... ღმერთივით... პირით ტრომბონის ხმასაც ბამავს... მაგრამ გიტარას ალაპარაკებს... ამერიკულ სტილში უკრავს... (არმსტრონგს ბამავს) “ზაზა, და-ზაზა-და-და ზაზ...”

კაცი

ესე იგი ამერიკულად არა?... ჰმ... პიცის უნივერსიტეტის პროფესორი, ატომური სადგურის ხელმძღვანელი... “ზაზა-ზა-ზაზ-ზაზ-დადა-ზაზ”... არა?...

ანტონია

სიმღერებსაც წერს...

კაცი

ახლა ზუსტად ეგ უნდა მეკითხა, სიმღერებსაც ხომ არ წერს მეთქი?

ანტონია

კი, წერს!... სიტყვებსაც და მუსიკასაც. ერთი ორი ისეთი სიმღერაცა აქვს აჟიოტაჟი რომ გამოიწვიამუსიკალურ წრეებში. ერთი სიმღერაც მე მომიძღვნა, მაგრამ რა სიმღერა!... ძალიან მინდა ახლა რომ გიმღერო და მოგასმენინო, მაგრამ მაინც ქმარი ხარ და არ ვიცი... საყვარლის მოძღვნილისიმღერა აბა როგორ გიმღერო... მაგრამ თუ გინდა აი ასე კი მოგასმენინებ... (მაგნიტოფონს ჩართავს) ნახე რა კარგია... გაგიჟდები პირდაპირ!... (მაგნიტოფონიდან კაცის ხმა იწყებს სიმღერას)

შენს ძებნაში ავიღალე, ბე მა სა არ მატარაჩვენ ვერავინ აგვაშორებს ახლა ჩემო პატარაპატარა ხარ, პატარა ხარ, პატარა ხარ, პატარა. რა ამი ე ტელეფონზე კლიტე-ბოქლომ-რაზებიშენს ლო ინში აიტანჯა ტელეფონის ხაზებირა ხანია არ მირეკავ, შორი ან მენაზები, ცხარე ცრემლით ვტირით მე ა გამორთული ფაზებირა იქნება, ამირეკე ღესო, იეს!

კაცი

გადასარეგია... ოღონდ მეატომე ფიზიკოსის არა და ცენტრალურ სატელეფონო სადგურში მომუშავეტექნიკოსის დაწერილს გავს...

ანტონია

(მხიარულად) ჰო... მართლა.. ტელეფონიო, ხაზებიო, ფაზებიო... აქამდე სულ არ მიმიქვევიაყურადღება... ახლა რომ ვნახავ აუცილებლად ვეტყვი...

კაცი

როდის ნახავ?

ანტონია

ცოტა ხანში... ერთად უნდა ვისაუზმოთ და...

კაცი

ისაუზმოთ?... ცოტა ხანში?... (ნერვიულობისაგან ფრჩხილების კვნეტას იწყებს)

ანტონია

ჰო, გადავწყვიტეთ ეს შაბათ კვირა ერთად გავატაროთ... შენ რა, არ გესიამოვნა?...

ახლა, არგეწყინოს, მაგრამ ჩასაცმელად სულ ერთი საათილა დამრჩა... (აბაზანაში

შედის)

კაცი

შენც არ გეწყინოს, მაგრამ თუ ეს კაცი ასეთი მნიშვნელოვანია შენთვის, თუ ასე

მოგწონს და თუერთად ასეთი ბედნიერები ხართ, რა გიშლით რომ ერთად იცხოვროთ,

რადას ელოდებით?

ანტონია

(აბაზანიდან) ოჰ, არა, არა, ღმერთმა დამიფაროს!... მუდმივად ერთ კაცთან ცხოვრებას

ამიერიდანაზრადაც კი აღარ გავივლებ!

კაცი

ისა... სხვანაირად არ გამიგო, მაგრამ... აი... მე რომ თავიდან შემოგთავაზო რაღაც-

რაღაცეები

ანტონია

აჰ, არა!... არავითარ შემთხვევაში!... მეყო რაც ვიწვალე და ვიტანჯე...

(ნახევრადჩაცმული გამოდისაბაზანიდან)... აბა რას აკეთებ?... ერთი საათია მაგ

ფრჩხილებს იჭამ!... სადაცაა სისხლსგამოიდენ!... მაგას ჯობია აილე აგერ ეს ლიქიორი

და დალიე!... წამოწეე!... (აბაზანაში შებრუნდება)

კაცი

რა საზიზღრობაა ეს!...

ანტონია

(აბაზანიდან) რა, ლიქიორი?

კაცი

არა!... ლიქიორი გადასარევიან!... საზიზღრობა მე ვარ! (ლიქიორს სვამს) ჩემი ბრალია!...

მე შევექმენიეს მდგომარეობა... მაგრამ ახლა რაღა უნდა ვქნა... მე ვიძახდი სულ ოჯახი

თავისუფალი უნდა იყოსმეთქი... მაგრამ ახლა... ვაიმე ცუდად გამომივიდა, ასე არ

მინდოდა და უკან დამიბრუნდი მეთქიბევრიც რომ ვიტყო და ვიქვითინო უკვე

აღარაფერი გამოვა... ბოლოს-და-ბოლოს საკუთარიცხოვრების ისე მოწყობა, როგორც

გინდა, შენი წმიდათაწმინდა და ხელუყოფელი უფლებაა...(თავისთვის) რა

სისულელეებს ვლაპარაკობ კაცო?!... (ანტონიას)... ისე დიდი ბოდიში, მაგრამ

როკმუსიკაზე გული რომ გერეოდა შენ არ იყავი?... ფსიქოპატებისა და იდიოტების

მუსიკას შენ არეძახდი?... ეს მაგათი დაგ-დუგ და ბრახ-ბრუხ და ტიუ-ტაუ ხმები შენ არ

გიშლიდა ნერვებს?

ანტონია

(აბაზანიდან გამოდის. პერანგი აცვია. ამას წინად დივანზე მონასროლ ქვედაწელს იცვამს და თმებსმალა იწევს) ასეა... ყოველ სიახლეს გარკვეული წინააღმდეგობები ხვდება ჩამორჩენილებისმხრიდან...

კაცი

არ მითხრა ახლა, როკი მოდაშია და იმიტომ შემიყვარდაო... გამაახალგაზრდავებელი და ძალებისშემმატებელი მშვენიერი მუსიკააო... თანაც პროფესორი რომ უკრავს იმიტომ მიყვარსო... შენ ჯობიაპირდაპირ მითხარი, რა გიქნა ასეთი იმ კაცმა... რა გელაპარაკა, რომ ასე გადაგიყვანა ამ პოსტ-მოდერნისტულ ჭკუაზე?...

ანტონია

თუ ქალი ცდილობს თავს მოუაროს, კარგად გამოიყურებოდეს და კიდევ უფრო მეტად განათლდეს,ესე იგი მის ცხოვრებაში არსებობს მამაკაცი და ამაში არაფერია გასაკვირი (ტელეფონის ზარი)

კაცი

ჩემი ქალებიდან თუა რომელიმე, უთხარი რომ აქ არა ვარ... არა ვარ აქ...

ანტონია

როგორ?

კაცი

არა ვარ მეთქი!... არ მინდა ახლა მაგათთან ლაპარაკი...

ანტონია

რას მოვესწარით, ჰარამხანაზე უარს ამბობ?... (ყურმილს იღებს) ალო... (ტკბილი ხმით) ჰო,გამარჯობა... რა ხდება, რატომ მირეკავ?... უცებ შემეშინდა ხომ არ დავაგვიანე მეთქი...(ქმარს) ის არის!

კაცი

ვინ ის?

ანტონია

მომწყდით თავიდან!... (ტელეფონში) ჰო, თითქმის მზადა ვარ... (მღელვარებით) შენ მოხვალ?. სადმოხვალ? აქ, ჩემთან სახლში?... როდის?... ნახევარ საათში?... (ნერვიულად) არა, მარტო ვარ!...სრულიად მარტო!... (უფრო მეტი მღელვარებით) შენ გელოდები... ჰო, გენაცვალე... გეტყვი,როგორ არ გეტყვი... (განაზებით) ძალიან, ძალიან... (კაცს ნახევრად გადაყლაპული ლიქიორიყელში ეჩხირება და ხველებისას აქეთ იქით აშხეფებს)... აი, როგორ გითხრა... მთელი გულითგეუბნები... ძალიან, ძალიან მიყვარხარ... (ამის თქმისას ქმარმა არ დამინახოსო მაგიდის ქვეშძვრება და ისე ამბობს) ჩაო... ჩაო... (ყურმილს სწრაფად დებს და ქმარს მოუბრუნდება) შენ კიდევრა დაგემართა, ასე რომ არ მომაშტერდე ტელეფონით ლაპარაკისას არ შეგიძლია? სადშევმძვრალიყავი აღარ ვიცოდი!...

კაცი

რატომ უთხარი მარტო ვარო?... ჩემი აქ ყოფნა ვერ გაუმხილე?...

ანტონია

არა!... ჰო!... ვერ უთხარი!

კაცი

ხედავ?... თუ გინდა დაგენიძლავები, რომ მაგ შენ უგზოუკვლოდ განვითარებულ დიდ ტვინიკოსსაცკი ღრღნის და ჭამს ეჭვიანობის გრძნობა.

ანტონია

არაფერიც!... შენ... შენ თუ სვამ დალიე ეგ შენი ლიქიორი და დროზე მოუსვი აქედან.

კაცი

კი მაგრამ სად წავიდე?

ანტონია

(ქვედაწელის სწორებით) შენ რა, ვერ გაიგე?... ის კაცი სადაცაა აქ იქნება...

კაცი

(აღშფოთებული) კი მაგრამ ეს სადაური როლები განაწილება?... არიქა ჩემი ცოლის საყვარელიმოდისო და ქმარი უნდა გადახტეს ფანჯრიდან?... (ცნობისმოყვარეობით) ესე იგი მართლაეჭვიანობს ჩემზე?

ანტონია

არავითარ შემთხვევაში!... უბრალოდ მე არ მინდა რომ ერთმანეთს შეგახვედროთ

კაცი

ანტონია!... მივხვდი!... არ გინდა რომ ვნახო, იმიტომ, რომ შენ რომ მომიყევი სულაც არაა ისეთი...არ გინდა რომ მატყუარა გამოხვიდე... ზედმეტად გაბუქე და ახლა არ გინდა რომ მაჩვენო... (ხელითჯუჯა კაცის სიმაღლეს აჩვენებს) აბა ახლა ასეთი თუა მართლა...

ანტონია

უპირველეს ყოვლისა ეგ ხელი რაც შეგიძლია მაღლა აწიე!... იმიტომ რომ ჩემი მეატომე მაგხელა არარის. და თუ მაინცდამაინც სიმართლე გინდა, შენი ჩვენება არ მინდა მისთვის შთაბეჭდილება არგაუფუჭდეს მეთქი...

კაცი

როგორ, როგორ?...

ანტონია

როგორ და ასე!... უნდა გამიგო!... ამ ჩემს ასაკში ჩემზე ახალგაზრდა და თან ჩემში უზომოდშეყვარებული კაცი მიშოვნია, მეატომე, ხუთდიპლომიანი!... კოლუმბიის და ნიუ იორკისუნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობს და როგორ უთხრა ახლა, გაიცანი, ეს ჩემი ქმარია,ბუღალტერი... ის კაცი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი... შენზე ისე გაკვრით მაქვს ნათქვამი...ძალიან განათლებული, ერუდირებული, მოწინავე იდეების მატარებელი და ენამახვილია მეთქი...რაც არ უნდა შორს იყოს სინამდვილისაგან, ასე ვთქვი და...

კაცი

ესე იგი სულაც არა ვარ ეგეთი არა?

ანტონია

შენ?... არა, რატომ?... შენც გაქვს გარკვეული პლიუსები... (კაცი მხრების ნერვიული ფხანით სცემსბოლთას, მერე მაგიდასთან მივა, ერთ უზარმაზარ ჭიქა ლიქიორს დაისხამს და ერთი ყლუპითგადაკრავს) ასე მთლადაც კი ნუ გაიგიჟებ ახლა თავს!... მე შენ როგორიც ხარ, ისეთი მიყვარხარ...შენ რომ გამოგყევი ჯერ კიდევ პატარა გოგო ვიყავი... ამ ცხოვრების არაფერი გამეგებოდა...წარმოდგენაც კი არა მქონდა... მაგრამ

ახლა ყველაფერი შეიცვალა. ჩემს ახალ ნაცნობებს, ყველას ძალიან უკვირს როგორ იცხოვრა ჩემისთანა ქალმა შენისთანაკაცთან ასე დიდხანს ერთად... (კაცი ისევ გამოაფრქვევს პირიდან ლიქიორს). რა მოგივიდა კაცო, რა დაასველე სულ მთლად აქაურობა?!... როგორ გავამშრალო ახლა? (ისევ აბაზანაში შედის)

კაცი

(სასმელის ზემოქმედება ეტყობა)... თუ გესმის ახლა შენ მე რამოდენა შეურაცხყოფა მომაყენე?!...

ანტონია

(აბაზანიდან) შეეცადე, რომ როგორმე გამიგო, გენაცვალე...

კაცი

შენ ვინ გგონია შენი თავი?

ანტონია

(გამოდის ორი ჩექმით ხელში) მე განსხვავებული ქალი ვარ...

კაცი

(ნერვებს ვეღარ ერევა) ეგ რა სისულელე ჩაგიჭედია თავში?... ასე იცის როკერებთან, ვილაცაობხრებთან და ტვინის ანთებიან ფიზიკოსებთან ამხანაგობამ... შენც თავი რაღაცადწარმოგიდგენია!... მაგრამ მე ეს სულ არ მაინტერესებს!... არც შენ და არც ის შენიმენინგიტგადატანილი ახალი შტერი ამხანაგები!... ვიგინდარები, ბრიყვები, უტვინოები! უ-ტვიიიი-ნოოოო-ეეეეე-ბიიიი!

ანტონია

(მაყურებელს) როგორი ფინალია?!... ხომაა მაგარი?!... (ქმარს) მე შენგან უფრო კარგ ფინალურსცენას ველოდებოდი ჩემო საყვარელო თავისუფალო ქმარო!... ეგ კაშნე რომ გაქვს შემოხვეულიკისერზე მეაღდგომე ბერივით, ეგრე რა გამოგივა?... ვერავითარ სცენას ვერ ითამაშებ!...სასაცილოდ გამოიყურები... (იცინის)

კაცი

მორჩა!... საკმარისია!... მეტი აღარ შემიძლია!... მოგკლავ და გავათავებ ყველაფერს!... ამ კაშნეთიდაგახრჩობ!... (ქალს ზურგიდან შემოუვლის და კაშნეს ქამანდივით ყელზე ჩამოაცმევს. ცდილობსმის დახრჩობას. ამ ჭიდაობაში ორივე ძირს ეცემა. ქალი ხელიდან უსხლტება კაცს. კაცი გაოგნებულიზის იატაკზე) რას ვაკეთებ კაცო?... სულ გადავირიე?

ანტონია

(გაოცებით) რას აკეთებ, რას?... ამ ჩემს საკუთარ სახლში ჩემს მოსაკლავად მოხვედი?

კაცი

მე რას ვაკეთებ?... შენ მაკეთებინებ!...

ანტონია

მე?

კაცი

სულ შენი ბრალია ყველაფერი!...

ანტონია

მართალი ხარ, ჩემი ბრალია!

კაცი

წონასწორობიდან გინდა გამომიყვანო და სულ მაგაზე მუშაობ!

ანტონია

მე?

კაცი

დიახ, შენ!... აი ახლა არ იყო კინაღამ რომ არ დაგახრჩე?... (მუხლები უკანკალებს)

ანტონია

მაინც მაგის გასაკეთებლად იყავი მოსული და...

კაცი

აბა ამდენი დამცირება... შეურაცხყოფა... გამოწვევა... აი ხომ ხედავ სადამდე

მიმიყვანე?

ანტონია

მე რაში გამოგიწვიე?... რა ვქენი?... კისერზე მაგ კაშნეთი მელდგომე ბერს გავხარ მეთქი... ამისგულისთვის უნდა დამახრჩო?... ეპისკოპოსისათვის რომ შემედარებინე მაშინ რაღას მიზამდი?... ნუაკანკალებ მაგ მუხლებს თუ ღმერთი გწამს!... ცუდად თუ ხარ გაფიქვე ფეხები და შენც მოისვენე დამეც მომასვენე!... (ამ ლაპარაკში ჩექმებს იცმევს, მაგრამ მარცხენას და მარჯვენას აურევს და უკუღმაჩაცმული გამოუვა) მორჩი ახლა!... დამშვიდდი!... შედი აბაზანაში, გრილი წყალი გადაივლე... მოგიხდება... და მერე შენ სახლში წადი!...

კაცი

(სუნთქვაშეკრული) მორჩი მეთქი!

ანტონია

ღუმის მიღება თუ არ გინდა, აქვე წმობი და შეეცადე დაწყნარდე... ფანჯრებს გავაღებ, სუფთაჰაერით ისუნთქე... (მაყურებელზე მიუთითებს) ამათ მაგივრად ვწუხვარ!... ამის შემდეგ რას იტყვიანშენზე?... კარგი, წამოწევი ახლა და... ჩემზე ნუ იწუხებ... ხომ მაინც დედასავით ვარ შენთვის?... (მაგნიტოფონამდე ძლივს მიდის) აი, ახლავე რაიმე წყნარ მუსიკას ჩაგირთავ... ნერვების დამამშვი-დებელს... აბა ნახე თუ არ გიშველოს... (სიარული უჭირს და ამის გამო შეწუხებულია)

კაცი

არაფერი არ მინდა! შენ ვინ ყოფილხარ თურმე, ახლა გავიგე!

ანტონია

რა მჭირს კაცო, ეს რა უბედურებაა... ახალი ავადმყოფობა შემეყარა რამე თუ რა არის ეს? მხარიმეცვალა მგონი! (შეამჩნევს რომ ჩექმები უკუღმა აცვია და სასწრაფოდ გამოიცვლის) აი რა დღეში ჩამაგდე, ხომ ხედავ?... (მაყურებელს) თქვენც არაფერს მეუბნებით... (ქმარს) ესე იგი, საზიზღარი ვიღაცა ვარ არა? მე კი სულელს მინდოდა შენთვის ყველაფერი ბოლომდე მომიეყოლა... არა, თუ გინდა მოგიყვები!... მოგიყვებ?... არა გენაცვალე, წელან ყველაზე უფრო რამაც შემამენია, შენი თვალები იყო!... რა იყო მაინც, რანაირი თვალები გაგიხდა უცებ?

კაცი

ვიცი... უცებ ვიგრძენი, რომ მეტის გაძლება აღარ შემიძლია... ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ახლაწახვალ და აღარასოდეს აღარ დაბრუნდები... მიტოვებულად ვიგრძენი თავი... ანტონიამიყვარხარ! (ცდილობს მოეხვიოს)

ანტონია

არა, არა... რას აკეთებ... წასასვლელი ვარ... მოიცა...

კაცი

გთხოვ, გაიხადე... მაკოცე...

ანტონია

(ცდილობს ხელიდან დაუსხლტეს) დამანებე თავი... შეხვედრაზე მივდივარ...

წასასვლელი ვარ!...

კაცი

მოიცა... ახლავე, აქვე მინდა... მე თვითონ გაგხდი!... (ქვედაწელსა და ჩექმებს გახდის და მაგიდაზე გადააწვეს. ტელეფონი ანტონიას ქვეშ მოყვება).

ანტონია

(კოცნისაგან დაგუდული ხმით) ტელეფონი... ტელეფონი!...

კაცი

(ყურმილს იღებს) ალო?... (ანტონიას) არავინაა! (ანტონიას წამოდგომაში მიეხმარება)

მე ახლამაღიან მჭირდება ვიგრძნო, რომ გიყვარვარ.

ანტონია

სხვა კიდევ რა გინდა?

კაცი

მინდა დავინახო, რომ ჯერ კიდევ რაღაცას წარმოვადგენ შენთვის.

ანტონია

(მღელვარედ ეხვევა) ვიცი, ვიცი, სიყვარული მოგაწვა... ახლავე დაგაჯილდოვებ...

(კაცი ანტონიასკოცნის და ამასთანავე მომავალი გამარჯვების წინათგრძნობით შარვალს იხსნის) მეც მიყვარხარ...შენ არაჩვეულებრივი... გადასარევი... ერთადერთი და განუმეორებელი... იდიოტი ხარ!

კაცი

(ცივად მოეშვება) შენ რა?!... (ცდილობს სერიოზულობა შეინარჩუნოს და სასწრაფოდ იცვამს პიჯაკს, მაგრამ შარვალი რომ არ აცვია აღარ ახსოვს)

ანტონია

ყოჩად!... პიჯაკი კი ჩაიცვი მაგრამ ამას რა უყოთ (შიშველ ბარკლებზე მიუთითებს) ვაი რასაცოდავად გამოიყურები!... სულ გამომტერდი შენ...

კაცი

(წერვიულად იცვამს შარვალს) მიყვარხარ მეტქი... რა ვთქვი ახლა ისეთი?.. მინდინხარ მეტქი

ანტონია

(მაყურებელს) ტყუილი, არც არაფერი არ უნდოდა! (ქმარს) უკვე რამდენი წელია

საერთოდ აღარმახსოვს რომ ამ ქვეყანაზე მეც ვარსებობ... ეს კი აქეთ ბატონო ქერაო და



აქეთ შავგვრემანო, ესგამხდარიო და ეს მსუქანო, ეს ნორჩიო და ეს ხანში შესულიო, მკვდარიო, ცოცხალიო... დაახლა?... ახლა ეს მეატომე საიდან გაჩნდაო?... ეს სახიფათო მეატომე!... მერე კი სასწრაფოდ, ახლავე მიინდიხარო, აქვე ამ პატარა მაგიდაზე, რა უყოთ მერე ტელეფონი თუ გერჭობა სადღაცო...(მაყურებელს) გადმოდგება მერე და თავისუფალ ოჯახზე დაიწყებს ლაპარაკს!... (ქმარს) ბოლოსდაბოლოს მივხვდი რაც გინდა! მხოლოდ შენი სიტყვა უნდა ჭრიდეს და როგორც ადრე, როგორც გინდოდა რომ ჭრიდი და კერავდი, ისევე გინდა გაგრძელდეს!... შენ თუ მოგინდება გამაქირავებ კიდევაც, მაგრამ სამუდამო სარგებლობაში არავის არ გადამცემ... შენი ნება რომ იყოს, გავაზე შენ საკუთარ ინიციალებს ამომიწვავდი... აბა როგორ?... კერძო საკუთრება!... (ქვედაწელსადა ჩექმებს ხელახლა იცვამს)

კაცი

ახლა ზედმეტებში კი ნუ გადახვალ!... დრომოჭმული ფემინისტივით ლაპარაკობ!... რას აკეთებ, რას?... იცვამ?... რას ნიშნავს ეს?... არ გინდა?... მართლა არ გინდა?... ესე იგი რაც იყო ჩვენს შორის იყო და მორჩა!... გათავდა არა?... (მუდარით) ანტონია!... რა გჭირს მაინც?... არ შეიძლება მეც რომ მიიხრა და რომ ვიცოდე?...

ანტონია

(გაოცებით შეხედავს) მე მჭირს რამე?

კაცი

კი!... მე მგონი სულ გააფრინე!... ის დაგემართა... აი... რა ქვია... ჰო!... მივაგენი!... გაუცხოვება! თითქოს სხვა სამყაროდან ხარ... მე შენ ისეთი მიინდიხარ ადრე რომ იყავი... ჩვენი გაცნობისას...(ტკბილად)... რა იქნება თავიდან რომ იპოვნო შენი თავი?... არ მინდა ისეთი ანტონია, რომელიც მაგინებს, შეურაცხყოფას მაყენებს, ფანჯრიდან ხტება, თავს იკლავს... მე ის ანტონია მინდა ადრე რომ ვიცნობდი... რა იქნება თავიდან რომ იპოვნო...

ანტონია

თავიდან იპოვნე!... ეძებე!... მოძებნე!... გადაგვარებული ანტონია ისევე აქეთ გადმოაგვარე!... კიმაგრამ როგორ გავაკეთო ეს?... ორშაბათს ტყვია შუბლში... სამშაბათს ფანჯრიდან გადახტომა... ოთხშაბათს თავის ჩამოხრჩობა... ხუთშაბათს საწამლავის მიღება... შაბათ კვირა დარჩა მხოლოდ, ეს ორი დასვენების დღე... მხოლოდ ამ ორი დღით მაქვს საშუალება გავიხსენო, რომ მეც ქალი ვარ და ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე, მაგრამ ორი დღე არაა საკმარისი, ვერ ასწრებ ადამიანი ვერაფერს... ვერ ვპოულობ ამ ორ დღეში იმ შენ ძველ ანტონიას... ო, ღმერთო ჩემო, რა ბანალური ხარ!... საღეჭი რეზინის ქალღმერთების შიგნითა მხარეს ჩაბეჭდილი სამკითხაო ფრაზებისავით: “ანტონია, ეცადე იპოვნო შენი თავი”... კი მაგრამ როგორ ვიპოვნო?... სად არის?... დაკარგულა სადღაც!... უიმედოდ დაკარგულა!... აი აქ იყო... აქ, ამ ტელეფონის გვერდით... აქვე სადღაც ამ სახლში... მაგრამ ახლა ვეღარ ვპოულობ!... აღარ არის!... ვინ მოიპარა?... ვინ დამალა?... დაკვარგეს საკუთარი თავი და ახლა აღარ ვიცი რაღა ვქნა... გავიდე ქუჩაში და პირველ შემხვედრს ვკითხო; “უკაცრავად, ბატონო, ხომ არ დაგინახავთ ჩემი თავი ამ ცოტა ხნის წინ აქეთ ჩავლილი” მეთქი?... მერე?... რას მიპასუხებს?... “კი ბატონო, ოიდიპოსის კომპლექსთან ერთად ველოსიპედით ჩაიარაწედანო?” ...

კაცი

მოიცა, მოიცა... ნუ გარეკე ეხლა... მერე დადგები და დამიწყებ იმის მტკიცებას, რომ ის შენიპროფესორი სულაც არ გიტრიალებს მაგ შენ ისედაც გადატრიალებულ ტვინს...

ანტონია

(საათს დახედავს) ოოო!... ძვირფასო, ნახევარი საათიც გავიდა და მეტიც, მოდი ახლა თუმოდინხარ!... (ქმარს) რომ გავისტუმრებ, დაგირეკავ... (კაცი შემოსასვლელი კარისაკენ გაემართება)... არა, მანდედან არა!... სამზარეულოს უკანა კარიდან გადი!... ხომ გითხარი არ მინდარომ ერთმანეთს შეგახვედროთ მეთქი?!...

კაცი

ესე იგი უკანა კარიდან ა?... როგორც ვილაცა ხელზე მოსამსახურე ან პიცცის დამტარებელი ა?...

ანტონია

თუ ასე გწყინს, საიდანაც გინდა იქიდან გადი, ოღონდ ჩქარა ქენი!...

კაცი

არა!

ანტონია

რა არა?!

კაცი

არსადაც არ მივდივარ!... ვიფიქრე და გადავწყვიტე!... აქ დაველოდები!... მინდა ერთი სახეშიშეხედო!

ანტონია

შენ რა სულ გაგიჟდი?... წელან ხომ მომეცი სიტყვა?...

კაცი

არავითარი სიტყვა-მიტყვა არავისათვის არ მიმიცია!... ცოლის საყვარელთან გაცნობა ჩემიწმიდათაწმინდა და ხელშეუხებელი უფლებაა!... მინდა ერთი თვალეზში შევხედო!... მინდა!... დავნახოთ ერთი... გადმომხედოს ერთი ზევიდან ქვევით დამამცირებლად, აიღოს მერე ის თავის როკგიტარა და დაიწყოს ის თავისი იდიოტური როკ-ყმუილი... მეც ავიღებ იმის იმ დიდებულ დაგენიალურ გიტარას და ერთი დარტყმით გადავაფშვნი იმ გენიალურ ატომურ თავზე!...

ანტონია

მომისმინე!... უკანასკნელად გაფრთხილებ და თანაც ძალიან სერიოზულად გთხოვ... წადი!..ნუ ჩაშლი ახლა ყველაფერს!... წადი აქედან!

კაცი

არა!

ანტონია

(ძალიან სერიოზულადაა აღშფოთებული და ღელავს) ასეც ვიცოდი!... ვიცოდი!... თავი მოიკალისანამ ამ ოხერი თავისუფალი ოჯახის პრივილეგიები და სიკეთე არ ჩამიტენე თავში... თვითმკვლელობამდეც მიმიყვანე... საგიჟეთშიაც კი აღმოვჩნდი რამოდენიმეჯერ, თანაც რანაირ მძიმე მდგომა-რეობაში... იქ გატარებული ერთი საათიც კი სიკვდილია და მე მთელი კვირაობით ვიყავიგამომწყვრეული... სრულიად

მარტო... მხოლოდ საკუთარ თავთან მარტოდმარტო... ყველანაირადვეცადე, მეც შენ  
ჭკუაზე გადმოვსულიყავი და ბოლოს როგორც იქნა მოვერიე თავს... მეც  
დავიწყებუნა... შენ რომ ასე გინდოდა იმიტომ, თორემ არ იყო ეს ჩემთვის ადვილი...  
ვეძებე და ბოლოსვიპოვე!... შემეყვარდა!... იმასაც შეუყვარდი!... და ახლა შენ, შენივე  
თქმისა არ იყოს, რაღაცაპირველყოფილი ქვენა გრძნობების და ჩამორჩენილ-  
დრომოჭმული შეხედულებების გამო ესყველაფერი გინდა დაანგრიო... მის წინაშე  
გინდა რომ დამამცირო!... ბარემ პირდაპირ მითხარი, რომ წაშლილი გყავარ ამ  
ცხოვრებიდან და რომ მე ამიერიდან აღარავითარი მომავალი აღარშეიძლება  
მქონდეს... დამთავრდა ჩემი ცხოვრება!... რა მინდა ახლა აქ?... შენ რომ  
გიყურებსაკუთარი თავი მეზიზღება... არა!... ვერ გაპატიებ!... შენც გაგანადგურებ და  
თავსაც მოვიკლავ!... შენც მოგსპობ და საკუთარ თავსაც!... გაზი!... გაზს მოუშვებ!...  
გაზს! (სამზარეულოსაკენ გარბის)

კაცი

(გადაეღობება) არა, მოიცა!... ტყუილად ნუ დახარჯავ გაზს... წავალ მე!... წავალ და  
მთელი შენისიცოცხლის განმავლობაში დაუვიწყარ და წარუშლელ კვალად  
დავრჩები...

ანტონია

თავს მოიკლავ?

კაცი

(რევოლვერს აიღებს) შენ რომ ამ სცენაზე ზედიზედ მილიონჯერ იმუქრებოდი ამით  
თავისმოკვლით, არცერთი ტყვია არ იყო მაშინ შიგ, მაგრამ ახლა დატენილია. წელან  
დავტენე!... (ჩახმახსშეაყენებს) აი, შვიდივე ტყვია შიგაა!

ანტონია

ცოტაა!... რომ აგაცილო და ვერცერთი ვერ მოგარტყა?... (მაყურებელს) პრინციპში ჩემი  
მოკვლაუნდოდა, ვიცოდი, მაგრამ თავის გადასარჩენად სხვა რა უნდა მექნა?... (ქმარს)  
კარგი ახლა, მომეციაქ ეგ რევოლვერი და დაანებე თავი სისულელეებს... (ცდილობს  
წაართვას)

კაცი

თავი დამანებე!... თავის მოკვლა მინდა!... (რევოლვერს საფეთქელზე მიიღებს)

ანტონია

მომეცი აქ!

კაცი

თავი დამანებე მეთქი!

ანტონია

მართალს ამბობ?... მართლა არ გინდა რომ ხელი შეგიშალო?

კაცი

ჰო, მართლა!

ანტონია

მიდი მაშინ!... ჰო, ჰო, მიდი!... მოიკალი თავი!... (კაცს საფეთქელზე აქვს ისევ  
მიბჯენილირევოლვერი, მაგრამ ჩახმახს თითს არ აკარებს)... მიდი!.. ისროლე!..

გამოკარი თითი, ოღონდიცოდე ამჯერად ნამდვილად!... ხომ არ შეიძლება ყოველთვის და ყველას წინ ხუმრობა!...(მაყურებელზე მიუთითებს) ბილეთის ფული აქვთ ამათ გადახდილი!... აბა, ახლა დამშვიდდი, დაწყნარდი, ნუ ღელავ და გააკეთე რაც გასაკეთებელი გაქვს... მოიკალი თავი!... ნუ გეშინია, ხვალინდელი წარმოდგენისათვის მოიძებნება სხვა ახალი მსახიობი... მიდი... გამოკარი თითი!...(უცებ შეცვლის ტონს) მორჩა!... საკმარისია!... მომეცი აქ ეგ რევოლვერი!... მომეცი და გაკმინდებმა!... (წართმევას დააპირებს. იბრძვიან და ამ ბრძოლაში რევოლვერი შემთხვევით გაისვრის) რასშვრები შე დეგენერატო რას?!... ისვრი?...

კაცი

მაინც ვერ მოგარტყი და რად გინდა?

ანტონია

აბა, კი!... ფეხი გამეკაწრა...

კაცი

უჰ, ბოდიში! (ყავარჯენს მოურბენინებს)

ანტონია

ამ სახლში თუ მართლაცდა საჭირო რამე არსებობს, ეს ყავარჯენია. (ქმარს) ღმერთო ჩემო, რანაირი მოუხერხებელი და დონდლო ხარ!... თავის მოკვლაც კი არ შეგიძლია მე რომ არ გამრიოსაქმეში ისე!... (ჯდება და ნატკენი ფეხიდან ჩექმის გახდას ცდილობს)

კაცი

მართალი ხარ!... გათავებულია ჩემი საქმე...

ანტონია

რას მიყურებ, ვერა ხედავ ფეხიდან სისხლი მომდის... წადი აბაზანაში, რამე იპოვნე და მომიტანეაქ...

კაცი

ახლავე, ახლავე მოვიტან... მოიცა... ანტონია... შეხედე ფეხზე არც არაფერი გაქვს... ოდნავაგაკაწრული... (აბაზანაში მიდის და ცოტა ხანში იქიდან ანტონიას ბამბის ჩულექებით ხელში ბრუნდება, მის წინ იჩოქებს და იარას უხვევს. სააბაზანოდან აბაზანის წყლით გავსების ხმაური ისმის)

ანტონია

ჰო, რა თქმა უნდა ოდნავაგაკაწრული იმიტომ, რომ ჩემი ფეხია და არა შენი... ეს რომ შენი ფეხიყოფილიყო... ექვსი სასწრაფო... თვრამეტი ექიმი... პლიუს დედაშენი... (შეხვევა მთავრდება) კარგია... ახლა ძალიან ბედნიერი ვარ!... ღმერთმა ქნას რომ ინფექცია არ შემეჭრას... აბაზანაშიწყალი შენ მოუშვი?

კაცი

ჰო.

ანტონია

შენ საკუთარ სახლში რომ დაიბანო არ შეიძლება?

კაცი

(დრამატულად) სახლში აბაზანა არა მაქვს და შხაპიც არ მუშაობს.

ანტონია

(გაოცებით) როგორ?... (ბრაზით) ახლავე წადი აქედან, თორემ ამ ყავარჯნით მოგკლავ!  
(ყავარჯენსმოუქნევს)

კაცი

არა!... აი, ნახავ, სულ არ შეგიშლით ხელს!... ის შენი სუპერტვინიკოსი რომ მოვა... ჩემი აბაზანიდანამოთრევაში მოგეხმარება. (აბაზანაში შედის და გახდას იწყებს)

ანტონია

ჩვენ რატომ უნდა ამოგათრიოთ იქიდან?

კაცი

(აბაზანის კარიდან თავს გამოყოფს. ნახევრადმიშველია) იმიტომ, რომ მარტო ვერ ამომათრევ... გვამი ყოველთვის უფრო მძიმეა ხოლმე. (შებრუნდება)

ანტონია

(ცდილობს უიმედობა ითამაშოს) ოოო!... რა უბედური ვარ!... ღმერთო რა მწარეა!... ქმარი თავსიკლავს!... თანაც ჩემს აბაზანაში!... თმები არ დამისველდესო და თავზე ჩემი ფერად-ფერადყვავილებიანი სააბაზანო ნეილონის ბერეტი წამოუცვამს...

(უეცრად იცვლის ტონს)... მაგ ჩემ ერთიბეწო აბაზანაში როგორ გინდა თავი დაიხრჩო შე უტვინო?... ჩაჯდები შიგ, ცხვირზე თითებს წაიჭერდა ჩაყოფ თავს წყალში სანამ არ გაიგუდები არა?... ამას დიდი ვაჟკაცობა და მოხერხება უნდა!... შენკი არცერთი არა გაქვს...

კაცი

(ისევ გამოჩნდება აბაზანის კარიდან ხელში თმის საშრობი ფენით) ნუ გემინია... ეს ხომაა 220ვოლტზე?... ჰოდა ამიანად შევალ წყალში და მორჩა... ერთხელ გამაზანზარებს... ბრრ...ნაპერწკლებს გამოყრის და ეგ არის...

ანტონია

გასაგებია, წუხელ ტელევიზოში “მთვარის შუქის” სერიალისათვის გიყურებია...

კაცი

არა!... ამის ცოდნისათვის არც სატელევიზიო სერიალები მჭირდება და არც ფიზიკისპროფესორები... თვითონ ვიცი...

ანტონია

ნუ სულელობ ერთი რაღაცას!...

კაცი

ჰო, ახლა არ გეწყინოს და უნდა მოვემზადო. (აბაზანაში შედის და კარს კეტავს) უნდა გავიხადო.

ანტონია

(ირონიულად) ტიტველმა უნდა მოიკლა თავი? (სააბაზანოს უახლოვდება)

კაცი

(შიგნიდან) რა თქმა უნდა!... აბა შარვალ-კოსტუმით ხომ არ ჩავწვები აბაზანაში?

ანტონია

(სააბაზანოს კარზე აბრაზუნებს) კარგი ახლა, მორჩი!... გეყოფა! ხუმრობა-ხუმრობაში ცოტაგადავამლაშე... გამოდი გარეთ... გონს მოდი... დავილაპარაკოთ... როგორც ცივილიზებულ ხალხს შეეფერება... გამოდი... (გასაღების ჭუჭრუტანიდან იხედება)

კაცი

უკვე გვიანაა, ძვირფასო... გასაღების ჭუჭრუტანიდან რომ მითვალთვალე არა გრცხვენია?

ანტონია

(ჭუჭრუტანიდან ცქერას განაგრძობს) სულელი... სულ გაგიჟდი?... მართლა ჩართო ფენი!...შენ რა, სულ გადაირიე?... გამოდი ახლავე გარეთ!... უტვინო!... უაზრო!...

კაცი

მიდი, მიდი... რაც უფრო მეტ შეურაცხყოფას მომაყენებ და დამამცირებ, მით უფრო გაგიადვილდებაჩემი სიკვდილის გადატანა!... (უიმედოდ ბლავის) აოოოოო!... სიკვდილი მინდააააა!... აუუუუ!... ესოხერი წყალიც რა ცივია?!... ამ სახლში თერმოსიფონი არ მუშაობს?!...

ანტონია

მოიცა!... მომისმინე!... ყველაფერი მოგატყუე!... პროფესორი არ არსებობს!... სულ ჯინაზევლაპარაკობდი... სულ მოვიგონე ყველაფერი...

კაცი

(სააბაზანოს კარიდან თავს გამოყოფს) როგორ?... სუპერ ტვინიკოსი ტყუილია?... წელან რომდარეკა?... ისიც ტყუილი იყო?... ვითომ ელაპარაკებოდი?...

(პირსახოცშემოხვეული გამოდის დახელში ფენი უჭირავს იარაღით)

ანტონია

ვილაცა შეცდომით მოხვდა აქ და მეც ვითომ ის იყო ისე ველაპარაკე...

კაცი

ბრავო!... მაგარი მსახიობი ყოფილხარ!... ააა!... არა!... ვიცი, ახლა დროს გაყვანის ტაქტიკასადგებხარ... (ანტონია ცდილობს ფენი წაართვას, მაგრამ ვერ ახერხებს) მანდ დადექი და ახლოს არმომეკარო!... თორემ გადავბტები ამ ფანჯრიდან!... ის ტვინიკოსი პროფესორი რომ მოვა, ჩემიდაკავება არც გაივლოთ თავში...

ანტონია

...მაგრამ ძალიან გთხოვ... მაგ ფენით რომ მოიკლა თავი არ მინდა... აი, შეხედე, ახლა ატომურსადგურში დავრეკავ და შენი ცოლის შეყვარებულ პროფესორს ვიკითხავ...

მაშინ ხომ დარწმუნდები

რომ არ არსებობს... აი, უყურე... (ტელეფონის ნომერს კრეფს) ალო... ქალბატონო, ატომურსადგურის ტელეფონი თუ შეიძლება... (კაცი ტელეფონს გათიშავს) არ დავრეკოთ?

კაცი

მომატყუე?... სულ გამომასულელე და იდიოტად დამსვი არა?...

ანტონია

ო, ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინე... ახლა ძალიან გეხვეწები, სიტყვა მომეცი, რომ აქ არ მოიკლავთავს... ჰო, ყველაფერი მოგატყუე... მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ მეჩვენებინა, თუ როგორვიტანჯები... შენ კი სერიოზულად მიიღე... (თბილად) ახლა ყველაფერი მორჩა... თავიდანდაიბადები... ყველაფერი თავიდან დაიწყება... (იცინის)

კაცი

მე კი არა შენ მიიღე ყველაფერი სერიოზულად

ანტონია

რა ყველაფერი?

კაცი

ჩემი თავის მოკვლა მაგალითად.

ანტონია

რა, სერიოზულად არ აპირებდი?

კაცი

შეხედე ერთი აბაზანაში დამცველებს... ყველა გამორთულია... აბა რა გეგონა... არც

ისეთი სულელივარ... ახლა ჩავრთავ... (დამცველებს რთავს)

ანტონია

შენც მატყუებდი?

კაცი

ჰო... ისე კი დიდი მადლობა უნდა გითხრა... ძალიან კარგი დრო გამატარებინე...

როგორ იყო ისიმღერა?...

“რა იქნება, ამირეკე ღეს, ო იეს!” ანტონია

შე გათახსირებულო... დამპალო... როდემდე უნდა მათამაშო ასე?... მოიცა, ის დროც

მოვა რომსულ ერთიანად ამოვიყრი შენს ჯავრს!... (მაყურებელს) ვცდილობდი ჩემი

თავი დამერწმუნებინა, რომ პროფესორი მართლა არ არსებობს... ო, რა დღეში ვიყავი...

ამ... ამ უტვინო კაცის გამო...

კაცი

კარგი ახლა... მორჩი!... აურელია!... (იცინის და სიმღერას აგრძელებს)

“პატარა ხარ, პატარა ხარ, პატარა ხარ პატარა...”

ამირეკე ღეს, ო, იეს!”

(შემოსასვლელში ზარის ხმა) კარი გააღე, აურელია... ხომ ხედავ მე დაკავებული ვარ...

(ანტონია კარის გასაღებად მიდის. კაცისიმღერას აგრძელებს)

პროფესორი

(წინკარში) ბოდიშს ვიხდი, ცოტა დამაგვიანდა... (ანტონიას ეხვევა)

კაცი

ვინ მოვიდა?

პროფესორი

შენი ქმარია?... მეჩვენება თუ მართლა ჩემს სიმღერას მღერის?...

კაცი

თქვენ ვინ ბრძანდებით?

ანტონია

ვინ უნდა იყოს?... ჩემი შეყვარებულია, ფიზიკის პროფესორი...

კაცი

როგორ?... ეს არის?... სუპერ ტვინიკოსი?... (კაცი ხელში მომარჯვებული ფენით

აბაზანაში შერბის. სააბაზანოდან ისმის მისი წყალში ჩახტომისხმა და ბათქი.

ნაპერწკლების ფეიერვერკი და ბოლი გამოვარდება სააბაზანოს კარიდან)

ანტონია

<https://pdfslide.tips/documents/-56d6bdca1a28ab30168f5aea.html>

ოოო!... ააარააააა!...  
ასასრულო